საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა ეკარტისიბაგე ესაძაგლესია.

ორშაბათი, 5 დეკემბერი. 2022 წ. №182 (9520) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

ბიძინა დვალი:

დისკუსიები საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ

გმადლობთ, ყოლამდე ვართ თქვენი და თქვენისთანეგის „პატივისცემით“. უმჯობესი იქნება, უცხო ქვეყნის „ინტერესებში ჩაჯდომის“ თქვენი „ცოდნა და გამოცდილება“ ისევ თქვენ და თქვენმა ფავორიტებმა გამოიყენოთ, ჩვენ ამ კონკურენციაში შემოსვლას არ ვაპირებთ, რადგან ამერიკის აგენტობა ისეთივე დანაშაული და სამარცხვინო საქციელია, როგორც რუსეთის, ან სხვა რომელიმე ქვეყნის აგენტობა.

③

აგენტოკრატია



იხ. 6 გვ.

ლეო ბოკერია:

ადამიანის გულზე ლამაზი არაფერი მინახავს, სული კი სისხლის მოძრაობაშია!..

ზურაბ ცუცქირიძე:

გამოუსწორებელი ტრადიციონალისტის წერილი ყველა ნამდვილ კაცსა და ქალს, რომლებიც „ბილწთ არ შეეკვრიან ზავითა“

იხ. 9 გვ.

ზნეობრივი კატასტროფა

ნუთუ ეს მართალია?!

რატომ დაამთხვიეს მოსკოვში ქართული კულტურის დღეების გამართვა რუსეთ-უკრაინის ომს?!

③

მედიცინის მეცნიერების პრობლემები და გამოსწორების გზები

რამაზ ხეცურიანი

მთელი მასალების კონსოლიდირების საფუძველზე აკადემია შესაგამის რეკომენდაციებსა და კონკურენტულ წინადადებებს შეიმუშავებს, რომელთაც შემდგომ მთავრობას წარვუდგენთ, რათა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში გადაუდებელი ზომების მიღებაა საჭირო, ვინაიდან ისედაც დასაშვებზე მეტად დავაგვიანეთ და კიდევ დაყოვნების შემთხვევაში საქმეს აღარაფერი ეშველება.

არჩილ ჩხოტუა

სამამულო სამეცნიერო სფეროსთვის ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ამჟამად საქართველოში მეცნიერებაზე გამოყოფილი საგიუჯეტო დაფინანსება გიუჯეტის სულ 0,3 პროცენტია, რაც ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,11 პროცენტს შეადგენს! ეს კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რეგიონსა და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ④

როგორ დაიკარგა აფხაზეთში პიკასოსა და ლეჟეს ნამუშევრები

⑦

ირაკლი ღარიბაშვილი:
სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შშმ პირთა უფლებების რეალიზებისთვის

შშმ პირთა უფლებების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოში კონსტიტუციურ დონეზე განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს **შშმ პირთა** უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს.

საქართველოს მთავრობამ მიმდინარე წელს დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული ჩართულობის უზრუნველყოფას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი კომიტეტი შექმნა, რომლის შექმნის ვალდებულებაც საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩოდან გამომდინარეობდა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლიდან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი დაახლოებით 770 მილიონი ლარით იზრდება, რაც უზრუნველყოფს როგორც საყოველთაო ჯანდაცვის, ისე სხვა, მიზნობრივი პროგრამების დაფინანსების გაზრდას.

ღირსეულ და თანასწორ გარემოში ცხოვრების მისაღწევად სახელმწიფო გააგრძელებს ერთიანი და კოორდინირებული საქმიანობის განხორციელებას“, – აღნიშნავს პრემიერი. 3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეა.

მთავრობა საკურორტო ზონების განვითარებაზე მუშაობს!

ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ქვეყანაში არსებულ პოზიტიურ ეკონომიკურ ტენდენციებსა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

სხდომის მონაწილეებმა ახალი საკურორტო ზონების განვითარების გეგმა განიხილეს, რომელზეც პრემიერ-მინისტრის დავალებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად მუშაობს. აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისა და სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვიზიტორთა მოცულობის ზრდა და ამისთვის კურორტების, მათ შორის ბალნეოლოგიური კურორტების განვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ახალი ტურისტული ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარი გამოიყოფა.

აღინიშნა, რომ მთავრობა 10 ახალი საკურორტო ქალაქისა და დაბების სრულ რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაზე მუშაობს. პროექტები რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება და მოიცავს როგორც ტურისტულად მიმზიდველი ადგილების განვითარებას, ისე ბიზნესისთვის საინვესტიციო შეთავაზებების შექმნას, რითიც დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება.

საუბარი ასევე შეეხო ქვეყნის სივრცის დაგეგმარების გეგმის შემუშავების პროცესს. აღინიშნა, რომ აქტიურად მიმდინარეობს ტექნიკურ დავალებაზე მუშაობა და უახლოეს პერიოდში კონკურსის წესით შეირჩევა კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაშიც იქნებიან როგორც ადგილობრივი, ისე წამყვანი უცხოური კომპანიები. კონსორციუმი ერთი წლის ვადაში დაამუშავებს გეგმის განვითარების კონცეფციას.

ან ვეგუებით სააკაშვილის სიკვდილს, ან არ ვეგუებით!

სააკაშვილის **გადასარჩენად გამართულ აქციას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიაც შეუერთდა.**

მელიას განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს ფაქტობრივად, სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი.

მისი თქმით, **ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებში ვერანაირად ვერ იქნება სააკაშვილის ტყვეობიდან გათავისუფლება. „სააკაშვილი არის უმძიმესი მდგომარეობის ქვეშ და უარესდება ყოველდღე მისი ჯანმრთელობა. ცხადზე ცხადია, თუ რას განიცდის მიხეილ სააკაშვილი. იმედი მაქვს, ამ უმძიმეს რეალობას ყველა თვალს გაუსწორებს.**

ან ვეგუებით სიკვდილს, სასიკვდილო განაჩენს, ან არ ვეგუებით. ამიტომ, თითოეულმა ადამიანმა გადაწყვიტოს, რა ხარისხის აქტივობისთვის არის მზად“, – აცხადებს ნიკა მელია.

სერბეთიდან რუსეთში სანქცირებული საქონელი ვერ შევა

სერბეთის პრეზიდენტმა, ალექსანდერ ვუჩიჩმა განაცხადა, რომ სერბეთის გავლით რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების გვერდის ავლას ვერავინ შეძლებს.

„ჩვენ რეაგირება მოვახდინეთ გარკვეული საქონლის რეექსპორტის შემთხვევებზე და ჩვენმა სახელმწიფო ორგანოებმა დააკავეს ადამიანები კომპანიებიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სანქციების გვერდის ავლაში“, – განაცხადა სერბეთის პრეზიდენტმა ევროკავშირის გაფართოების საკითხებში ევროკომისარ ოლივერ ვარჰეისთან შეხვედრის შემდეგ.

„მივესალმები პრეზიდენტის გზავნილს, რომ ის დაგვეხმარება სანქციების განხორციელებაში ამ ომის დასასრულებლად“, – განაცხადა ოლივერ ვარჰეიმ.

გია აბაშიძე: გამორიცხული არაა, რამდენიმე თვეში ლევან ხაბეიშვილი ვანო მერაბიშვილმა ჩაანაცვლოს

„ნაციონალურ მოძრაობაში“ პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევს. პარტიის თავმჯდომარის სკამის დასაკავებლად **ლევან ხაბეიშვილმა** წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო – დადის რეგიონებში და თან ექსპრეზიდენტის დასახსნელად საპტროტესტო აქციაც გამართა. **ნიკა მელიას** წინასაარჩევნო კამპანია მისი ოპონენტისგან განსხვავებით, მშვიდია.

რა შეიცვლება მელიას ან ხაბეიშვილის თავმჯდომარედ არჩევნის შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობაში“? დატოვებს თუ არა **დავით კეზერაშვილი** ლევან ხაბეიშვილს თავმჯდომარედ, თუ მასაც გვერდზე გაიყვანს? ამ კითხვებს ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** პასუხობს.

ლევან ხაბეიშვილის თავმჯდომარეობის შემთხვევაში, ის მაქსიმალურად შეეცდება პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაძაბოს. ამ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ძებნილი კეზერაშვილის მიერ გამოცხადებული ნდობა გაამართლოს. რაც შეეხება მელიას, არ მგონია ის ხელახლა აირჩიონ. მელია რომც აირჩიონ, მისი თავმჯდომარეობა ხანმოკლე იქნება, რადგან მას კეზერაშვილი და მისი გარემოცვა აშკარად დაუპირისპირდა. ნებისმიერ შემთხვევაში, პარტია დაშლას გააგრძელებს, რადგან სხვადასხვა პოლუსები გაჩნდა, მით უმეტეს, ნიკა მელია ვერ გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, რის გამოც პარტიის მშენებლობა არ გამოუვიდა, ყველაფერი პირიქით მოხდა. ამავდროულად, დაბალი კვალიფიკაციის პოლიტიკოსი, როგორიც არის ლევან ხაბეიშვილი, საერთოდ ჩამოაქცევს „ნაციონალურ მოძრაობას“ და უფრო მეტ დაპირისპირებებს გამოიწვევს.

— ცნობილია ლევან ხაბეიშვილის გეგმები, ის დადის რეგიონებში, აანონსებს აქციებს, თუმცა აქციებთან დაკავშირებით პარტიის დამფუძნებელმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ აქციების დრო არ არისო. თქვენ პარტიის დაშლა ახსენეთ და ხაბეიშვილს აქციებში რამდენად აჰ ყვებიან პარტიის წევრები და იქნება ეს ფაქტი დაშლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი?

— სააკაშვილმა და მისმა უახლოესმა ანტურაჟმა კარგად დაინახეს, რომ საპროტესტო აქციებს აზრი არ აქვს, რადგან ხალხი „ნაცმოძრაობის“ ლიდერების მოწოდებას აღარ მიჰყვება. ხაბეიშვილი ქარიზმატული თვისებებით არ არის დაჯილდოვებული, მას პრიმიტიული ლოგიკა აქვს. ის, უბრალოდ, დამკვეთი კეზერაშვილის დავალებებს ასრულებს. ზოგადად, როდესაც ადამიანს პოლიტიკური წონა არ აქვს, მის გვერდით სხვადასხვა პოლიტიკოსები ვერ შეიკრიბებიან. ამიტომ ხაბეიშვილი დარჩება მარტო. შეიძლება „ნაცონალური მოძრაობიდან“ წასულებმა ახალი პარტია შექმნან, ან შეიძლება ხაბეიშვილი აიძულონ, რომ, ადრე თუ გვიან, წავიდეს. ძველი პოლიტიკოსები სად წავლენ უკვე მნიშვნელობა არ აქვს. ისინი მშვენივრად ხედავენ, რომ უკანონობის ჩადენას არავინ აპირებს და სააკაშვილს უცხოეთში არავინ გადაიყვანს, საქართველოში საკმარისი რესურსია, რომ მას უმკურნალონ. ის თავისი ვადის მოხდას საპატიმროში გააგრძელებს, ხოლო „ნაცმოძრაობაში“ რღვევა კიდევ უფრო გაღრმავდება.

— დავით კეზერაშვილს ახლა ლევან ხაბეიშვილი სურს პარტიის თავმჯდომარედ, მაგრამ შესაძლებელია შემდეგ კეზერაშვილმა ისიც ჩამოიცილოს?

— გამორიცხული არ არის ზუსტად ეს იყოს კეზერაშვილის გეგმა. უბრალოდ, რაში სჭირდება ყველასგან სასაცილოდ მიჩნეული ხაბეიშვილის წინა პლანზე გამოყვანა, უცნობია. ასევე, გამორიცხული არ არის, რომ ხაბეიშვილი რამდენიმე თვეში ვანო მერაბიშვილმა ჩაანაცვლოს. ძველი სახეები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ პერიოდში ხელისუფლებაში იყვნენ, ისინი საჯარო სივრცეში არ ჩანან, არ ვიცით მათი აზრი მიმდინარე პროცესებზე. მათ შორის არც ის ადამიანები ჩანან, რომლებიც სააკაშვილის გვერდით იდგნენ, როდესაც ეს პარტია დაფუძნდა. ასე რომ, რომელ მხარეს არიან, თუ საერთოდ ნეიტრალურ პოზიციას იკავებენ, ჯერჯერობით, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია.

— პარტიაში დაპირისპირება ზურაბ ჭიაბერაშვილის ფიგურის გამოჩენამაც გამოიწვია. თქვენ როდესაც ახსენეთ, რომ ძველმა სახეებმა შესაძლებელია ახალი პარტია შექმნან, ძველ სახეებში გულისხმობთ ჭიაბერაშვილს, სააკაშვილის ოჯახის წევრებს და მათ შორის მელიას, რომლებიც ერთად დაუპირისპირდნენ უკვე კეზერაშვილ-მერაბიშვილის კლანს?

—- ეს გამორიცხული არ არის. საერთოდ, ჭიაბერაშვილი ცნობილია, რომ ბოლოს „ევროპულ საქართველოში“ იყო, რომელსაც რეიტინგი აღარ აქვს. ჩვენ ვხედავთ, რომ თამარ ჩერგოლეიშვილი ძალიან აქტიურობს პოლიტიკური განცხადებებით სოციალური ქსელიდან. ამიტომ, გამორიცხული არაა ე.წ. დიდი გაერთიანება ვნახოთ, თუმცა შესაკრებლთა გადანაცვლებით ჯამი მაინც არ იცვლება.

— სამართლიანობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ ხაბეიშვილის და მისი თანამოაზრეებისგან განსხვავებით, ეს ადამიანები აღარ გამოირჩევიან ხელისუფლების მიმართ დიდი კრიტიკით. იმ შემთხვევაში, თუ მათ შექმნეს ერთად ახალი პარტია, იქნებიან კონსტრუქციული ოპოზიცია?

იხ. 11 ბ.

ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲐᲒᲔᲜᲢᲝ-ᲙᲠᲐᲢᲘᲐ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲡᲐᲯᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲙᲣᲚᲘᲡᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲨᲔᲗᲘᲫᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲣᲬᲧᲕᲔᲢ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ **ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲫᲕᲘᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ „ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ“ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲐᲫᲕᲡ.** ᲣᲤᲠᲝ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, **ᲒᲐᲓᲐᲕᲚᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲬᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ.** ᲘᲡᲘᲪ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲠᲝᲛ **ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ.**

ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ — „ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ“ მიერ ახალ დისკურსში შემოტანილი ეს რთული შინაარსის სიტყვა ზუსტი შესატყვისია იმ დამოკიდებულებისა, რასაც **ამერიკის ადმინისტრაცია საქართველოში პოლიტიკური პროცესის მართვისთვის იყენებს.** კლასიკური გაგებით, აგენტია პირი, ვინც ამა თუ იმ ქვეყანაში სხვა, უცხო ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მუშაობს. როგორც წესი, ამგვარ საქმიანობაში ჩაბმა უანგაროდ არ ხდება ხოლმე. **„სტრატეგიული პარტნიორების“ ოცდაათწლიანმა „დაუღალავმა შრომამ“ და ამ საქმეში ჩაყრილმა ასეულობით მილიონმა დოლარმა შედეგად მოიტანა აგენტურის მთელი კორპუსების შექმნა.**

„ხალხის ძალის“ მიერ **თავდაცვის ახალი „ფრონტის ხაზის“** გავლებამ, **ქართველი ხალხის ინტერესების საზიანო** სტრატეგიული და ტაქტიკური ჩანაფიქრების მხილების გზით, მოქმედებაში მოიყვანა ნიუტონის მესამე კანონი — საპირისპირო მხარემ უკვე გაშიფრული და სრულად გაკოტრებული აგენტურული დაჯგუფებების — ე.წ. ოპოზიციისა და ე.წ. არასამთავრობოების — დახმარების მიზნით, თავდასხმით ოპერაციებში ჩართო **„დროებით თავშესაფრებში“ უკეთესი დროისთვის გადანახული „ოქროს რეზერვი“.** ისეთები, როგორიცაა, მაგალითად, „რონდელის ფონდის“ „მკვლევარები“ და „რევოლუციით გასათავისუფლებელ“ კაბინეტებში შევარდნის სხვა მსურველები.

იმის საილუსტრაციოდ, რომ როგორ ვბედავთ „უფროსი ძმების“ მიმართ კითხვების დასმას და რაღაც-რაღაცების გამო ეჭვების გამოთქმას, რომ თურმე ჭკუით უნდა ვიყოთ და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ამერიკელმა „მეგობრებმა“ „დაუნახავ და უმადურ“ ქართველებზე უკეთ იციან, რა არის ჩვენთვის კარგი,** ამერიკათმცოდნის სტატუსით მოქმედი პერსონის, ვასილ კაჭარავას „რჩევა-დარიგებები“ იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას:

> **„ამერიკას „ეძველბიჭებიან“, დეგნანს „საქმეს ურჩევენ“ — ამერიკა ყველაზე მაგარი „ძველი ბიჭია“ მსოფლიოში და მაგასთან ასე ლაპარაკი არ გამოგივა“ — ხედავთ, რა ყოფილა?! ყოფილ დიპლომატ(?) ვასილს მოკრძალებით შევებედავდი, რომ მეტი დამაჯერებლობისთვის, ანუ უფრო მეტად რომ შეგვშინებოდა, ამ „ღრმააზროვან და ყოვლად შთამაგონებელ ნარატივს“ ბოლოში „სიმონ“, ან „ტო“ მოუხდებოდა.**

ხუმრობა იქით იყოს, ჩემო მკითხველო და... დარწმუნებული ვარ, სიტყვების ამ კრიალოსანზე ყველას „მამაცი“ კურდღლის ის ანეკდოტი გაგახსენდებოდათ, **„მე და ლომს ვინ მოგვერევაო“.** იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ეს ვასალი ვასილი ადრე, მისი ახალგაზრდობის წლებში, **როგორც სანიმუშო კომკავშირელი, მაშინდელი „უფროსი ძმების“ „წვისა და გარჯის“ ვერდამფასებელ, ანუ იმ დროების სხვაგვარად მოაზროვნეებსაც, ასეთივე „გულწრფელი აღშფოთებით“ დაამუნათებდა.**

ასეთივეა რონდელის ფონდელ „მკვლევართა“ პოლიტიკურად გააქტიურებული ნაწილის ნააზრევების სულისკვეთებაც. **როგორც დღეს ამბობენ ხოლმე, ერთი მესიჯბოქსია, ანუ აქაც იმ ზემოხსენებული ერთი ცენტრის მწვანე კუპიურებით შეიარაღებული ჯადოსნური ხელის ძალა იკვეთება.** ვასალი ვასილის „სასახელოდ“ უნდა აღინიშნოს, რომ „გამბედაობით“ ყველა „რეზერვისტს“ გადააჭარბა და რაღაც მსუყე პრემიას უდავოდ დაიმსახურებს. („რონდელის ფონდელი“, „ვასალი ვასილი“ — რაღაც კალამბურებივით გამოვიდა...).

საზოგადოებისთვის ხმაურით თავის შემხსენებელი ჩვენი „პროამერიკელი კომკავშირელის“ კიდევ ერთი „შეგონება“ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას: **„მე გეტყვით, წინა ხელისუფლების დროს რატომ დაიხარჯა უფრო მეტი — მიშას მთავრობამ და მიშამ, მიუხედავად თავისი ხარვეზებისა, იცოდა ამერიკელების ენა, როგორ ელაპარაკა, როგორ ეთანამშრომლა, ჩაჯდა მათ ინტერესებში, ლოიალურობაც დაუმტკიცა...“** და დასკვნის სახით დღევანდელი ხელისუფლების მისამართით ამატებს - **„საკუთარ თავს დააბრალე, რატომ არ მუშაობ ამ ამერიკელებთან ისე კარგად, კაცო.“** (ნუ... „ძმაო“ უფრო „რელევანტური“ იქნებოდა, მაგრამ არა უშავს, მთავარია, ქუჩურს რომ ბოლომდე აწვება).

ბატონო ყოფილო დიპლომატო, **ნამდვილი მეცნიერ-მკვლევარი რომ ბრძანდებოდეთ და ამ ქვეყნის სიყვარული ოდნავ რომ გეცხოთ, „ხარვეზების“ ნაცვლად აუცილებლად იტყოდით „დანაშაულებრივ რეჟიმს“.** მაგრამ,.. ვინაიდან ის ავადსახსენებელი პერიოდი **„ამერიკელების ენაზე მოლაპარაკე მიშამ“, ცეცხლითა და მახვილით, ამერიკელების ფრთებქვეშ შეყუჟულმა,** როგორც თქვენი კომკავშირელობის დროს ვიტყოდით ხოლმე — **ამერიკელების „დაბროთი“, გამოატარა ქართველ ხალხს,** გიჭირთ იყოთ ობიექტური. ეს იმას ნიშნავს, რომ ვერ ახერხებთ (არც მეტი, არც ნაკლები), ღირსებითა და პატივით ატაროთ მეცნიერის სახელი. ეს ერთი სიტყვა — **„ხარვეზები“, ქართველი ერის დამცირებითა და შეურაცხყოფით გაჯერებული ეს ერთი სიტყვა,** სრულიად საკმარისი პირობა და საფუძველია იმის სათქმელად, რომ თქვენს „ნაშრომებს“ ჩალის ფასი აქვს.

> **ახლა, რაც შეეხება „კარგად მუშაობას“... ჩვენი სტაჟიანი „პროამერიკელის“ სანაქებო „მიშას“ „კარგი მუშაობა“, (კაგებეს სკოლაგამოვლილი კადრებით დახუნძლული „მიშას მთავრობისთვის“ არც რუსებთან „კარგი მუშაობა“ წარმოადგენდა პრობლემას), შედეგებით რომ შევაფასოთ, იმ მძიმე სურათის წინაშე აღმოვჩნდებით, რომლის უარყოფა ვასალ ვასილსაც გაუჭირდება. „ერთობლივი მიღწევების“ ნუსხა დაკარგული ტერიტორიებით იწყება და უსასრულოდ გრძელდება, მხოლოდ და მხოლოდ მუქ ტონალობაში. სისტემური დანაშაულებისა და ადამიანური ტრაგედიების მრავალგზის გამეორებული ჩამონათვალით მეტად აღარ დავამძიმებ მკითხველის განწყობას.**

მოდით, თვითკმაყოფილი სახეებით მოქადაგე ყველა „თეორეტიკოსისთვის“ სხვანაირადაც განვმარტოთ, თუ რა მოვლენასთან გვაქვს საქმე (ამაზე ბევრჯერ გვისაუბრია): **ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პირველივე დღეებიდან მოქმედებაში მოვიდა მრავალ ქვეყანაში აპრობირებული ცნობილი ამერიკული პროექტი — „დიდი ნაძირალაა, მაგრამ ჩვენი ნაძირალაა“.** ნეოკოლონიური, აგენტოკრატიული მმართველობისთვის შერჩეულ (განწირულ) ქვეყანაში პროექტის მთავარ პერსონაჟებად, როგორც წესი, არჩევენ და შესაბამისად გაწვრთნიან ხოლმე მანიაკალური მიდრეკილებებით შეპყრობილ, უსამშობლო და პრინციპებისგან დაცლილ, ანუ ყველაფერზე ხელის მომწერ პირებს.

ასე რომ, **ის „ტექნოლოგიები“, თუ „როგორ უნდა იმუშავო“ ამერიკელებთან, „როგორ უნდა ჩაჯდე მათ ინტერესებში“, „როგორ უნდა მოიპოვო მათი ლოიალურობა“,** ბატონო ვასალო ვასილ, **ყველას კარგად მოეხსენება,** მაგრამ **თქვენი მიშასგან და თქვენგან განსხვავებით — არ კადრულობენ(!).**

> ᲐᲛᲐᲡ, ᲩᲕᲔᲜᲝ „ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ“, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲫᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲙᲝᲚᲐᲑᲝᲠᲐᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲣᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ. ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲗ ᲮᲛᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲕᲐᲠᲓᲝᲓ ᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲒᲕᲔᲮᲡᲜᲐ ᲐᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ „ᲒᲕᲘᲠᲩᲔᲕᲗ“, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲛ ᲭᲐᲝᲑᲨᲘ ᲩᲐᲕᲔᲤᲚᲝᲗ?
>
> **ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲧᲔᲚᲐᲛᲓᲔ ᲕᲐᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡᲗᲘᲡ „ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ“. ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲣᲪᲮᲝ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ „ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲯᲓᲝᲛᲘᲡ“ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ „ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ“ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲛᲐ ᲨᲐᲕᲘᲠᲘᲢᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲝᲗ, ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲘᲠᲔᲑᲗ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲘᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝ ᲡᲐᲫᲪᲘᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ, ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲫᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲝᲑᲐ.**

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ

ᲜᲣᲗᲣ ᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ?!

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲐᲛᲗᲮᲕᲘᲔᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲝᲛᲡ?!

ᲖᲣᲡᲢᲐᲓ **იმ დროს, როცა რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს, მოსკოვში ქართული კულტურის დღეებისთვის მოიცალეს. 11-13 დეკემბერს მოსკოვში მცხოვრები ქართველები ღონისძიების გამართვას გეგმავენ, რომელიც დაგვირგვინდება გრანდიოზული კონცერტით, სახელწოდებით, „ჩვენ ერთად ვართ“!.**

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე რამდენად სწორად არის შერჩეული ქართული კულტურის დღეების თარიღი მოსკოვში, ამას ახსნა განსხვავებული პოლიტიკური გემოვნების მიხედვით შეიძლება მოეძებნოს.

ᲘᲮ. 5 ᲒᲕ.

მედიცინის მეცნიერების პრობლემები და გამოსწორების გზები

მეცნიერება, რომლის დონე და მიღწევები, განსაკუთრებით კი თითქმის მთელი მე-20 საუკუნის განმავლობაში, საქართველოში მუდამ სიამაყის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა, დღესდღეობით, მავანთა „წარმატებული“ მცდელობების შედეგად, სავალალო მდგომარეობაშია. საქართველოს სტატისტიკური სამსახურის ბოლო მონაცემებით საქართველოში დღეისთვის მეცნიერული კვლევით მხოლოდ 14000 კაცია დაკავებული, აქედან 3000 მკვლევარს ჯერჯერობით საერთოდ არ აქვს არც სამეცნიერო, არც აკადემიური ხარისხი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამედიცინო კვლევებით მხოლოდ 16%-ია დაკავებული. ამიტომაც, სავსებით გასაგებია ის გულისტკივილი და შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ძიების სურვილი, რომელსაც ამის გამო ჩვენი სასიქადულო სწავლულები განიცდიან. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ უკიდურესად მძიმე ვითარებაა შექმნილი სამეცნიერო მოღვაწეობის უკლებლივ ყველა მიმართულებაში, მათ შორის, სამედიცინო სფეროში. ამდენად სავსებით გასაზიარებელია ის პათოსი, რომლითაც გამსჭვალული იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო-მეთოდოლოგიური საბჭოს გასულ კვირას გამართული სხდომა, რომელზეც სამამულო მედიცინის წინაშე არსებული პრობლემებისა და მათ გადასაჭრელად აუცილებელი ძალისხმევის თაობაზე მეტად საინტერესო, საქმიანი განხილვა წარიმართა.

საქართველოში სამედიცინო სფეროში უმოკლეს ვადებში გადასაჭრელ საკითხთა სიმრავლის გამო, მათი განხილვა ორ ეტაპად დაიყო, საანგარიშო წერილში კი მეორე ნაწილის შესახებ გვექნება ლაპარაკი.

– შესავალ სიტყვაში სხდომის თავმჯდომარემ, მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა **რამაზ ხეცურიანმა** ვრცლად ილაპარაკა საქართველოს მედიცინის მეცნიერებების პრობლემებზე და აღნიშნა, რომ საჭირო იქნება სასწრაფო გადაუდებელი ღონისძიებების გატარება თუნდაც მეცნიერების დღევანდელი დონის შენარჩუნებისთვის, დღეს ჩვენი მედიცინის საჭირბოროტო საკითხებისადმი მიძღვნილი განხილვის მეორე სხდომაა, შემდგომ მთელი მასალების კონსოლიდირება მოხდება და მათ საფუძველზე აკადემია შესაბამის რეკომენდაციებსა და კონკურენტულ წინადადებებს შეიმუშავებს, რომელთაც შემდგომ მთავრობას წარვუდგენთ, რათა არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უახლოეს მომავალში გადაუდებელი ზომების მიღებაა საჭირო, ვინაიდან ისედაც დასაშვებზე მეტად დავაგვიანეთ და კიდევ დაყოვნების შემთხვევაში საქმეს აღარაფერი ეშველება, – აღნიშნა მან.

მოხსენებით „მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა (ძირითადი მიმართულებები)“, საბჭოს წევრებისა და მოწვეულ სპეციალისტთა წინაშე წარსდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) პროფესორი **რიმა ბერიაშვილი**, რომელმაც ვრცლად ილაპარაკა სასწავლებელში ბიომედიცინასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მიმდინარე სამეცნიერო მოღვაწეობის პრიორიტეტებზე, ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარების ხელშეწყობის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემების დაფინანსების სქემებისა და შესაძლებლობების, კვლევებისა და სწავლების ინტეგრაციის, ასევე მათი ინტერნაციონალიზაციის შესახებ.

სამედიცინო სფეროს უკლებლივ ყველა დარგის საფუძველთა საფუძვლის – პათოლოგიური ანატომიის დარგის წინაშე არსებულ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე ილაპარაკა პროფესორმა **ომარ ხარძეიშვილმა.** მან, კერძოდ, განაცხადა, რომ დარგი საქართველოში სრულიად მოსპობის საფრთხის წინაშეა და თუ საქმეს დროულად არ ეშველა, სამამულო მედიცინა ერთიანად „დეკორატიულ“ სახეს მიიღებს. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამჟამად რეფორმებზე მხოლოდ ლაპარაკი მიდის, შედეგი კი არ ჩანს, ამდენად საჭიროა რეალური მოქმედება და არა იმაზე მსჯელობა, თუ ცვლილებების განსახორციელებლად რომელ სისტემას მივანიჭოთ უპირატესობა.

„თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტთა მონაწილეობით მიმდინარე სამედიცინო კვლევების თაობაზე (კვლევათა დაგეგმვის, დაფინანსების, შედეგების პუბლიკაციის და საერთაშორისო ცნობადობის მოპოვების პრობლემების)“ საკითხების განხილვას მიეძღვნა თსუ-ს კლინიკური ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის კათედრის გამგის, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ **დიმიტრი კორძაიას** მოხსენება. მასში გაანალიზებული იყო თსუ-ს თანამშრომლებისა და დოქტორანტების მიერ გამოქვეყნებული ის ნაშრომები, რომლებიც ასახულია SCOPUS-ის ბაზაში 2000 წლიდან 2002 წლის აგვისტოს ჩათვლით. კერძოდ აღნიშნა,რომ მთლიანად გამოქვეყნებულია 998 სტატია, რომელთა ჯამური ციტირება 10724-ია, რაც ნაშრომში საშუალო ციტირების 10,75 პროცენტს შეადგენს. მოყვანილი იყო ასევე ბიოსამედიცინო კვლევათა დაგეგმვის, დაფინანსების, შედეგების პუბლიკაციისა და საერთაშორისო ცნობადობის მოპოვების შესწავლის მიზნით ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები, ხოლო დასკვნის სახით ითქვა, რომ მკვლევართა წინაშე არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა სისტემური რეფორმის განხორციელება.

უაღრესად საყურადღებო მოხსენებით – „საგანმანათლებლო და სამეცნიერო რეფორმების აუცილებლობა საქართველოში“ – დამსწრეთა წინაშე წარსდგა საქართველოს უროლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი **არჩილ ჩხოტუა**. მის მიერ მოყვანილ მონაცემთა შორის სამამულო სამეცნიერო სფეროსთვის ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ამჟამად საქართველოში მეცნიერებაზე გამოყოფილი საბიუჯეტო დაფინანსება ბიუჯეტის სულ 0,3 პროცენტია, რაც ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის - მხოლოდ 0,11 პროცენტს შეადგენს! **ეს კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რეგიონსა და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის.**

– მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა კომპლექსური პროცესია, რომელიც მრავალ სხვადასხვა მდგენელს გულისხმობს... რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ბიოსამედიცინო კვლევების პრიორიტეტების განსაზღვრა და მედიცინის სხვადასხვა დარგში არსებული პრობლემების მეცნიერული ანალიზია. გაურკვეველია, დღესდღეობით საქართველოში ამ ფუნქციას რომელი სტრუქტურა ახორციელებს, – აღნიშნა პროფესორმა ა. ჩხოტუამ.

მან ასევე ხაზი გაუსვა საქართველოში დოქტორანტურაში სწავლებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს. მისი თქმით, პრობლემების სათავე სამეცნიეროს სფეროს უაღრესად მწირი დაფინანსებაა, რასაც ხშირად ქვეყნისა და მოსახლეობის ოდენობის სიმცირით ხსნიან. ამასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა სრულიად განსხვავებული საერთაშორისო მონაცემები მოიყვანა, რომელთა შესაბამისად, მსოფლიოში სამეცნიერო კვლევებში სახელმწიფო დაფინანსების ლიდერთა სამეული დაასახელა, რომლებიც დიდი ქვეყნების რიცხვს ვერანაირი პარამეტრით ვერ მიეკუთნებათ. ესენი არიან ისრაელი, რომელიც ყოველწლიურად მეცნიერების განვითარებაში სახელმწიფო ბიუჯეტის 5,4 პროცენტს ხარჯავს, **სამხრეთ კორეა** და **ტაივანი** (შესაბამისად, 4,8 და 3,6 პროცენტი). ბატონმა ა. ჩხოტუამ თქვა, რომ ჩვენში სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი სამეცნიერო ხარისხების გაუქმებაა, არადა ბოლონიის პროცესთან შეერთებულ უმრავლეს ქვეყანაში ეს ინსტიტუტი შენარჩუნდა, ანდა აღდგა მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების წესი. მომხსენებლის აზრით, **ქვეყანაში მეცნიერების განვითარებისა და პროგრესის საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას. კერძოდ, ქვეყნის განვითარების პროგნოზიდან გამომდინარე, მეცნიერების გარკვეული დარგების პრიორიტეტების დადგენა და მათი განვითარების ხელშეწყობა, უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობით ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და სხვა, რა მიზნითაც დამსწრეთ შემუშავებული რეკომენდაციებიც გააცნო.**

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა **თამარ ლომჯანიძემ** დამსწრეთ გააცნო უმაღლესი სასწავლებლის სტრუქტურა, აღნიშნა სტატუსიდან გამომდინარე, აუცილებლად საწარმოებელი სამეცნიერო კვლევების აუცილებლობის ტვირთი, რის მიზეზია სათანადო ფინანსური წელგაუმართაობა, ასევე ილაპარაკა ჩვენში სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივებზე.

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ხელმძღვანელის, ასოცირებული პროფესორის **ილია ნადარეიშვილის** მოხსენების თემა იყო „სამეცნიერო კვლევები მედიცინაში: მიღწევები, პრობლემები და პერსპექტივები (უნივერსიტეტის გამოცდილება და ხედვა)“. მომხსენებელმა სხდომის წევრებს გააცნო იქ მოქმედი სადოქტორო, ასევე სხვადასხვა ფინანსირებადი პროგრამები, სხვა კვლევები, გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ასევე აღნიშნა გარემოება, რომ სამამულო მეცნიერების პროდუქტიულობის მიუხედავად, საამისოდ საჭირო ფინანსური რესურსების მოზიდვის უნარი კვლავინდებურად დაბალია და რომ სამეცნიერო კვლევების წარმოება გართულებულია მაღალკვალიფიციური პერსონალის გადინებით, რის მიზეზი, თავის მხრივ, პროფესიული ზრდის პერსპექტივების ნაკლებობით, დაბალი ანაზღაურებითა და მთელი რიგი სხვა გარემოებითაა განპირობებული.

წარმოდგენილ მოხსენებებში განხილულ საკითხთა და, ზოგადად, არსებულ პრობლემათა თაობაზე გამართულ კამათში გამოვიდნენ აკადემიკოსი **რამაზ შენგელია,** პროფსორები **ბეჟან წინამძღვრიშვილი, რამაზ ჩიხლაძე, სოფიო ბახტაძე, რამაზ ყურაშვილი.**

სხდომის დასრულების შემდეგ ვესაუბრეთ აკადემიკოს-მდივან რამაზ ხეცურიანს, რომელმაც აღნიშნა, რომ როგორც 8 ნოემბრის ასევე დღევანდელი სხდომის შედეგები დამუშავდება მედიცინის და ფიზიოლოგიის განყოფილებაში და მოხსენდება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, მომზადდება რეკომენდაციები და კონცეპტუალურ საკითხთა ნუსხა რომელიც ალბათ თებერვლის თვეში გადაეგზავნება ქვეყნის მთავრობას და პარლამენტს.

ოთარ ტურაბელიძე

დიდი მათემატიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე



აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე 90 წლისაა

გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს, **ხვედრი ინასარიძეს** დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

აკადემიკოს ხ. ინასარიძის სახელთან პირველ რიგში დაკავშირებულია საქართველოში თანამედროვე ალგებრის, განსაკუთრებით ზოგადი ჰომოლოგიური ალგებრის და ალგებრული K-თეორიის დაფუძნება და განვითარება. მან გაამდიდრა ეს დარგები საერთაშორისოდ აღიარებული მნიშვნელოვანი შედეგებით.

ხვედრი ინასარიძე დაიბადა 1932 წლის 6 დეკემბერს პარიზში (საფრანგეთი), ქართველი ემიგრანტების ნიკო და ნინო ინასარიძეების ოჯახში, აქ იგი 15 წლის ასაკამდე ცხოვრობდა, სწავლობდა პარიზის Lycee Claude-Bernard-ში. 1947 წელს მშობლებთან ერთად დაბრუნდა საქართველოში. 1949 წელს, თბილისის მე-6 ვაჟთა საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდი არ იყო მარტივი – 1951 წელს მშობლებთან ერთად გაასახლეს ყაზახეთში, საიდანაც ისინი 1954 წელს რეაბილიტაციის შემდეგ დაბრუნდნენ. 1958 წელს, თბილისის უნივერსიტეტის სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, ხ. ინასარიძემ სწავლა და კვლევითი მუშაობა უნივერსიტეტის ასპირანტურაში განაგრძო აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით. 1961 წლიდან, უკვე ექვს ათეულ წელზე მეტია, ბატონი ხვედრი ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომელია, აქვე გაიარა მეცნიერული კარიერის ყველა საფეხური და 1989 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს ალგებრის განყოფილებას.

ხვედრი ინასარიძის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი შედეგები ეხებოდა ნახევარჯგუფებს, მათთან დაკავშირებულ ალგებრულ სტრუქტურებს და მათ გაფართოებებს. შემდეგ, ბევრად უფრო ზოგად დონეზე, ე.წ. უნივერსალური ფუნქტორების – სატელიტების ზოგადი თეორიის შექმნა და მრავალი შედეგი ზოგად ჰომოლოგიურ ალგებრაში. განსაკუთრებულია მისი, როგორც ერთ-ერთი ფუძემდებლის, როლი და ღვაწლი არააბელურ წარმოებულ ფუნქტორთა თეორიაში და ამ თეორიის გამოყენებაში ალგებრულ K-თეორიაში. აღსანიშნავია აგრეთვე მისი ადრინდელი შედეგები ზოგად ტოპოლოგიაში და არაერთი საინტერესო შედეგი ალგებრულ ტოპოლოგიაში – სხვადასხვა ჰომოლოგიის და კოჰომოლოგიის თეორიებში და მათ შორის კავშირის დადგენასა და აქსიომატიკაში. მისი 2020-ანი წლების ინტერესების ერთ-ერთი სფეროა ჯგუფების ე.წ. ეკვივარიანტული ჰომოლოგია და კოჰ ომოლოგია.

მისი მრავალმხრივი სამეცნიერო საქმიანობის შედეგები ასახულია 70-მდე სამეცნიერო ნაშრომში, რომლებიც გამოქვეყნებულია წამყვან საერთაშორისო მათემატიკურ ჟურნალებში და შეჯამებულ იქნა მონოგრაფიებში „Algebraic K-theory“ (1995) და „Non-abelian homological algebra and its applications“ (1997), რომლებიც გამოიცა Kluwer-ის გამომცემლობის ცნობილ სერიაში „ Mathematics and its Applications“.

ხ. ინასარიძემ შექმნა ქართველ ალგებრაისტთა სამეცნიერო სკოლა, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული საერთაშორისო მათემატიკურ წრეებში. ამ სკოლის წარმომადგენლები წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე რამდენიმე მაღალი რეპუტაციის მქონე უნივერსიტეტში საზღვარგარეთ. მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეები მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ და აფასებენ ბატონი ხვედრის უაღრესად სასარგებლო და მნიშვნელოვან რჩევებსა და მისი სემინარების საოცარ ატმოსფეროს, სადაც განსაკუთრებული აკადემიური თავისუფლება სუფევდა. ხვედრი ინასარიძის დიდი დამსახურებაა, რომ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი მსოფლიოში აღიარებული კვლევითი ცენტრია ალგებრის დარგში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ხ. ინასარიძის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ალგებრა-გეომეტრიის კათედრას, წლების განმავლობაში იყო ამ უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის პროფესორი.

ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო პრესტიჟის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ დაარსებულ საერთაშორისო მათემატიკურ ჟურნალებს „Homology, Homotopy and Applications“ (1999), „Journal of Homotopy and Related Struqtures“ (2005) და „Tbilisi Mathematical Journal “ (2007; 2021-დან მას დაერქვა „Advanced Studies: Euro-Tbilisi Mathematical Journal “).

აღსანიშნავია ხ. ინასარიძის მრავალმხრივი და ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო-ორგანიზატორული და საზოგადოებრივი საქმიანობა. 1990-1997 წლებში იგი იყო საქართველოს მათემატიკოსთა ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, 2006-2008 წლებში – არასამთავრობო ორგანიზაციის „მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეროვნული ცენტრის“ გამგეობის თავმჯდომარე, 2008 წლიდან დღემდე კი სათავეში უდგას არასამთავრობო ორგანიზაციას „თბილისის მათემატიკური მეცნიერების ეროვნული ცენტრი“.

1990-1991 წლებში ხვედრი ინასარიძე იყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი.

გამორჩეული მეცნიერული ნაშრომებისთვის მიღებული ჯილდოებიდან აღსანიშნავია ანდრია რაზმაძის სახელობის პრემია და ირანის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ხორეზმის საერთაშორისო პრემია.

ხვედრი ინასარიძის დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე სათანადოდ არის აღიარებული: 1983 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდეტად, ხოლო 2001 წელს – აკადემიის ნამდვილ წევრად, 2019 წლიდან იგი არის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. მისი მონაწილეობა აკადემიის ცხოვრებაში ნაყოფიერი და მნიშვნელოვანია. მისაბაძია ბატონი ხვედრის ობიექტურობა, პრინციპულობა, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია.

სამაგალითოა აკადემიკოს ხვედრი ინასარიძის – დიდი მეცნიერის და შესანიშნავი პედაგოგის მიერ განვლილი ცხოვრების გზა. სოლიდური ასაკის მიუხედავად იგი კვლავ ენერგიულად აგრძელებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ვულოცავთ ბატონ ხვედრის სახელოვან იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, პირად ბედნიერებასა და ახალ წარმატებებს მრავალფეროვან საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება,
თსუ ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი.

რატომ დაამთხვიეს მოსკოვში ქართული კულტურის დღეების გამართვა რუსეთ-უკრაინის ომს?!

(მესამე გვერდიდან)

წინასწარი ინფორმაციით, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და რუსი შემსრულებლები, ქორეოგრაფიული ანსამბლები. ასევე, იგეგმება გამოფენების მოწყობა, ქართული კულინარიის მასტერ-კლასების ჩატარება, დაგეგმილია კონფერენცია მიგრაციის შესახებ.

არსებული ინფორმაციით, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ, ასევე, ე.წ. ფედერალური ეროვნულ-კულტურული ავტონომიისა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. ღონისძიების ორგანიზატორია ბათუმში დაბადებული **დავით ცეცხლაძე**.

პოლიტოლოგი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი for.ge**-სთან საუბრისას აცხადებს, რომ **გაუგებარია, რატომ უნდა ჩატარდეს ქართული კულტურის დღეები მოსკოვში, სასიკეთოს რას გვაძლევს ასეთი ღონისძიებები?! პოლიტოლოგის აზრით, უკრაინა-რუსეთის ომიც რომ არ იყოს, არც სხვა პერიოდში იყო გამართლებული მსგავსი ღონისძიებების მოწყობა.**

„სრულ გაუგებრობას იწვევს ჩემში ასეთი იდეა. საინტერესოა, როგორი იქნება ქართული კულტურის დღეების ფორმატი მოსკოვში, ერთად იქნებიან რუსები და ქართველები?! იქვე იქნებიან ოკუპირებული რეგიონების წარმომადგენლებიც? ცხადია, რუსები სადაც არიან, ოკუპირებული რეგიონების წარმომადგენლებიც იქვე იქნებიან“, – აცხადებს ირაკლი მენაღარიშვილი.

მისი აზრით, **მოსკოვში ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ქართული დასების და შემსრულებლების წასვლაც კონტრპროდუქტიული და სრული უაზრობა იქნება, მით უმეტეს, ისეთ სიტუაციაში, როცა რუსეთი უკრაინას წყლისა და დენის გარეშე ტოვებს. ირაკლი მენაღარიშვილის შეფასებით, ეს ნორმალური ვითარება არ არის. ამდენად, გინდ მშვიდობიანი დრო იყოს, გინდ არამშვიდობიანი, რუსეთთან მიმართებით ასეთი ღონისძიებები ცუდის გარდა არაფრის მომტანია.**

ანალიტიკოსი **იგორ კვესელავა** აცხადებს, რომ **შევარდნაძის პერიოდში დაიწყო აფხაზეთის ომი, რაც ამერიკისა და რუსეთის დაპირისპირების შედეგი იყო. 1993 წელს დავკარგეთ აფხაზეთი. ამის შემდეგ რუსეთში დაახლოებით 1 მილიონი ადამიანი გადავიდა საცხოვრებლად საქართველოდან. დღესაც ყველა ეკონომიკური მონაცემით დასტურდება, რომ რუსეთიდან შემოდის ყველაზე მეტი თანხა საქართველოში, ხორციელდება გადმორიცხვები, რომლითაც თავს ირჩენენ ჩვენს ქვეყანაში. ეკონომიკურ ზრდაზე როცა ლაპარაკობს ჩვენი ხელისუფლება, აქ უზარმაზარი როლი აქვს რუსეთს. ამდენად, იგორ კვესელავას აინტერესებს, ჩვენ რომ შევწყვიტოთ ახლა ეკონომიკური, კულტურული ურთიერთობა რუსეთთან, მისაღები იქნება? ჩვენი ხალხისთვის კარგი იქნება?**

მანვე განმარტა, რომ **ისტორიული პასაჟები არ უნდა დავმალოთ. მოსკოვში ქართული კულტურის დღეების გამართვა კი ხალხთა შორის ურთიერთობას ნიშნავს. შეიძლება პოლიტიკოსებმა ერთმანეთთან ურთიერთობა გაწყვიტონ, შეიძლება ხელისუფლებებმა ერთმანეთთან დიპლომატიური ურთიერთობაც შეწყვიტონ, მაგრამ საზოგადოება, ხალხი, მეცნიერები, მწერლები, კულტურის მოღვაწეები, სპორტსმენები ამ ურთიერთობას არ უნდა წყვეტდნენ.**

ამიტომ ამ სიტუაციაში მოსკოვში ქართული დღეების გამართვა იგორ კვესელავას აბსოლუტურად გამართლებულად მიაჩნია, თუნდაც იმიტომ, რომ ყველამ იცის უკრაინის ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ანალიტიკოსის თქმით, ჩვენი ერი უკრაინას ყველანაირ მხარდაჭერას უცხადებს, მაგრამ უკრაინელების დამოკიდებულება არ უნდა იყოს არც სახელისუფლებო, არც უკრაინის პრეზიდენტის დონეზე გადასაწყვეტი. ახლა ჩვენი მთავარი ამოცანაა, საქართველო გაძლიერდეს ეკონომიკურად.

ვფიქრობ, უნდა აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან. დიპლომატია არის ბრძოლა, წართმევა, მორიგება, მოტყუება, დიპლომატიით რაღაცას უნდა მივაღწიოთ, ვიდრე ის, რომ საზღვართან მიდის ზოგიერთი ჩვენი ოპოზიციონერი, ჩაიხდის შარვალს, რაც სამარცხვინოა იმ ერისთვის, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში უზარმაზარი კულტურა გააჩნია. რუსეთს უნდა ებრძოლო ხელოვნებით, სპორტით, პოლიტიკით, დიპლომატიით, – მიიჩნევს იგორ კვესელავა.

მანანა ნოზაძე



ლეო ბოკერია: ადამიანის გულზე ლამაზი არაფერი მინახავს, სული კი სისხლის მოძრაობაშია!..

შავი ზღვის სანაპიროზე ობლობასა და გაჭირვებაში გაზრდილი საამაყო ქართველის ლეო ბოკერიას პიროვნება უდიდეს პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებს.

ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1973), პროფესორი (1975), რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1994), მოსკოვის ა. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი (1994-დან 2019-მდე). ჰიპერბარიული ოქსიგენაციის შესწავლისა და ამ მეთოდის ქირურგიაში დანერგვისთვის ვლადიმერ ბურაკოვსკისთან და ვ. ბუხარინთან ერთად მიენიჭა ლენინური პრემია (1976)...

ეს მცირე ბიოგრაფიული ექსკურსიაა, ბატონი ლეოს მნიშვნელოვანი მიღწევებიდან.

რამდენიმე დღის წინ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გავიდა ნოე სულაბერიძის საავტორო გადაცემა, სადაც მთავარი ინტერვიუერი გახლდათ ჩვენი ქვეყნის ღირსეული წარმომადგენელი, ექიმი, აკადემიკოსი ლეო ბოკერია. რადგან მედიაში ძალიან იშვიათია ბატონი ლეოს ქართულ ენაზე მიცემული ინტერვიუები, ჩვენი გაზეთის მკითხველს გვინდა ბეჭდური სახითაც შევთავაზოთ გადაცემაში გაჟღერებული მნიშვნელოვანი მოვლენები ქართველი ექიმის უაღრესად საინტერესო ცხოვრებიდან.



— ვინ არის ლეო ბოკერია?

— მე ვარ ექიმი, სულითხორცამდე. გულის ქირურგია არის ჩემი მთელი ცხოვრება. გულის ქირურგიის შინაარსი არის გულის გაჩერება და, ასე ვთქვათ, გაჩერებული გულის „რემონტი“. ჯერ უნდა გავაცოცხლო გული, მერე თავად ავადმყოფი. ვფიქრობ, რომ წიგნიც უნდა დავწერო იმ ემოციების შესახებ, რომელიც ქირურგს წარმატებული ოპერაციის შემდეგ ეუფლება.

— რა თვისებები აქვს ლეო ბოკერიას ისეთი, რომელიც მაყურებელმა შეიძლება არ იცოდეს?

— ბრძოლისუნარიანობა, მიზნისკენ სწრაფვა, თუკი ჩემში ხდება რევოლუციის მსგავსი რამ, როცა ვგრძნობ, რომ შემიძლია რაღაცის მიღწევა, მაშინ ვიბრძვი ბოლომდე. სწორედ ეს გახლდათ ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც აბობოქრდა ჩემში, როცა პირველად ინსტიტუტის მიღმა დავრჩი, მიუხედავად იმისა, რომ მედალიც მქონდა. ზუსტად მაშინ გადაწყვიტა „ამხანაგმა ხრუშჩოვმა“, რომ ფრიადოსნებსაც ისე ჩაებარებინათ მისაღები გამოცდები, როგორც დანარჩენ მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ 19 ქულა მოვიპოვე 20-დან, სტუდენტი მაინც ვერ გავხდი. ამის მიუხედავად, ფარ-ხმალი ნამდვილად არ დამიყრია და შემდეგ წელს პირდაპირ მოსკოვში წავედი ჩასაბარებლად და ავიხდინე კიდეც ჩემი ოცნება. თავისუფლად მოვეწყვე მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში.

ლეო ბოკერია, ფრიდონ თოდუა, ოლგა ბოკერია.

— ძალიან ახალგაზრდამ, 33-წლის ასაკში მიიღეთ დოქტორის ხარისხი!

— დიახ, ეს იყო სტუდენტობის დროს დაწყებული კვლევა, რომელიც შემდეგ გადავიდა საკანდიდატოში, სადოქტოროში და საბოლოოდ დაიმსახურა ლენინური პრემია. ეს გახლდათ ინოვაციური ოპერაციები ბარო-კამერაში, ჰიპერბარიერული ოქსიგენაციის მეთოდით ჩატარებული ოპერაციები, მთავარი გამოგონება იყო კასრები, „ბოკერიას კასრებსაც“ რომ ეძახდნენ.

— იმ პერიოდში უამრავი მცირეწლოვანი ბავშვი იყო, ე.წ., ლურჯი ტუჩებით, „ლურჯ მანკს“ უწოდებდნენ. პატარებს ჟანგბადი არ ჰყოფნიდათ. ვენიდან სისხლი გადადიოდა არტერიებში. ეს ბავშვები მძიმედ იტანდნენ ოპერაციას და მაღალი იყო სიკვდილიანობა. ვეძებდით გარკვეულ მეთოდებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და ეს ჰიპერბარიული ოქსიგენაცია იყო ძალიან კარგი მიგნება ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამ დროს ავადმყოფი სუნთქავს 3 ატმოსფერულ ჟანგბადს, რომელიც უზრუნველყოფს წნევას, სატურაციას ნორმის დონეზე, რაც გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ოპერაცია ნორმალურად ჩაგვეტარებინა.

— დათვლილი გაქვთ თუ არა, ჯამში რამდენი ოპერაცია გაქვთ გაკეთებული?

— დაახლოებით 20 000-მდე იქნება, რაც ამდენივე გადარჩენილ სიცოცხლეს ნიშნავს. რაც შეეხება კამერაში ჩატარებულ ოპერაციებს, ეს რიცხვი დაახლოებით 240-ია. თავად იმ კამერაში ყოფნა არ გახლავთ საშიში, საშიშია იქიდან გამოსვლის შემდეგ უცაბედად ჰაერი არ მოხვდეს ტვინში!, ასე რომ, ექიმისთვის მსგავსი ოპერაციის ჩატარება გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული.

— ყველაზე მძიმე შემთხვევა თუ გახსენდებათ, რომელმაც თქვენზე განსაკუთრებულად იმოქმედა?

— საბედნიეროდ, თანამედროვე მიღწევებმა მოგვცა იმის გარანტია, რომ დღეს საოპერაციო მაგიდაზე ავადმყოფი არ დაგრჩება, თუმცა იყო წლები, როდესაც საუკეთესოდ ჩატარებული ოპერაციაც კი ფატალურად სრულდებოდა.

მახსოვს ერთი მძიმე შემთხვევა, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ულამაზესი გოგო და მისი მეუღლე, ურთულესი მანკით. დავასრულე ოპერაცია, გამოვედი და ამ ანგელოზ გოგოს ვუთხარი, რომ ყველაფერი რიგზე იყო, ავედი კაბინეტში და 15 წუთში მირეკავენ, სასწრაფოდ ჩამოდიო. დაუყოვნებლივ მოვიწვიე კიდევ სხვა თანამშრომლები კონსულტაციისთვის. გავხსენით ისევ გული, ყველაფერი შევამოწმეთ, თითქოს ყველაფერი იდეალურად იყო, მაგრამ გული ვერ ამუშავდა... მომაკვდავი ახალგაზრდა შევაერთეთ აპარატზე, გამოვედი საოპერციოდან, დგას ეს ანგელოზი გოგო და მე პასუხი არ მაქვს, დადუმებული ვარ. გავიდა დაახლოებით 5 საათი და ზუსტად 5 საათში დაბერდა ეს უმშვენიერესი, ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში კედელთან იყო ატუზული და ხმას ვერ იღებდა. დღემდე არ მაქვს პასუხი, რატომ გარდაიცვალა ის ვაჟკაცი ბიჭი. სამწუხაროდ, 25 წლის წინ გულის დაცვის მეთოდები არ იყო იმ დონეზე განვითარებული, როგორც დღესაა.

— გული როგორია?

— ძალიან ლამაზია, გულზე ლამაზი არაფერი მინახავს, ამიტომაცაა ძალიან რომ მიყვარს. მას ვერაფერს შევადარებ, ისეთი რამაა, რომელსაც ვერ დავახასიათებ.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია ის კულტურა, რაც დასავლეთშია მიღებული, რომ ცოცხალი ადამიანი ანდერძს წერს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ორგანოები სხვას გადაუნერგონ?-

— ეს კულტურა ძალიან მართებულია, ნორმალურ ქვეყანაში ეს არ უნდა დავივიწყოთ, რადგან ეს რელიგიის საკითხიცაა. ჩვენთან როცა დავიწყე ამ თემაზე საუბარი, სამწუხაროდ, ამ თემას ძალიან დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, განსაკუთრებით რელიგიური კუთხით. ეს არ გახლავთ მარტივად გადასაწყვეტი საკითხი.

გულის გადანერგვის სულ 70-მდე ოპერაცია მაქვს ჩატარებული და ესეც ყველა წარმატებით დასრულდა.

— როგორ ფიქრობთ სხვისი გულით ცხოვრება ადამიანს ცვლის?

— არა, რა თქმა უნდა, ადამიანი როცა ჯანმრთელია, როცა გადარჩება, ამას უკვე დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს. ხშირად აღარც კი ფიქრობს, რომ ცხოვრებას სხვისი გულით აგრძელებს, რაღაცნაირად, ივიწყებს კიდეც ამას.

— მამაკაცის და ქალის გული თუ განსხვავდება?

— კი, რა თქმა უნდა, მამაკაცის გული უფრო დიდია და, სხვათაშორის, უფრო ლამაზიც.

— როგორ ფიქრობთ, გულით, რომ უყვართ, მართლა გულით უყვართ?

— უყვართ ტვინით, რასაკვირველია, ხშირად მეკითხებიან, თუ სად არის სული, მე ვპასუხობ, რომ სული არის სისხლის მოძრაობაში, ადამიანის ნერვიულობა, აფორიაქება, სიმშვიდე ყველაფერი კავშირშია სისხლის მოძრაობასთან. რაც ხდება სისხლში, შემდეგ ამოდის გულამდე... ამიტომ სული არის სისხლის მოძრაობაში.

— ბესლანის ტრაგედიასაც რომ შევეხოთ!.

— ეს ტრაგედია ყველამ ვიცით. ამ ტერაქტის დროს დაიჭრა პატარა ბიჭი, სახელად ზაური, რომელსაც ჭრილობა არ ეტყობოდა და არც გულში ნასროლი ტყვია. გავხსენი გული და არსად ჩანს ტყვია. ამ დროს მართლაც მიშველა უფალმა და ხელით ზუსტად იმ ადგილს შევეხე, სადაც ტყვიის ნამსხვრევი იყო გულთან გაჭედილი.

ეს ბიჭი გადავარჩინეთ. შემდეგ ზაური გახდა ექიმი, ჩვენთან გაიარა ორდინატურა, დაამთავრა ასპირანტურა, დაბრუნდა სახლში და დღეს საკმაოდ წარმატებული ექიმი გახლავთ.

— თქვენ დიდ დროს უთმობთ საკითხს, რომელსაც ჰქვია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაუმჯობესება. რა უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ დიდხანს ვიცოცხლოთ?

— მთავარია ადამიანის სურვილი, არსებობს კვლევა, რომლის მიხედვითაც ადამიანი, რომელიც კვირაში 2 საათზე მეტს თუ ივლის ფეხით, 6-8 წლით უფრო დიდხანს იცოცხლებს, ვიდრე ის პირი, რომელიც ძირითადად უმოძრაოდაა. აგრეთვე, უმთავრესია ძილის მოწესრიგება. კვების რაციონი... ქართული სუფრა კი არის განსაკუთრებულად გამორჩეული, მაგრამ საკმაოდ მძიმეა და ამიტომ ნორმა უნდა დავიცვათ.

— რასთან ასოცირდება თქვენთვის საქართველო პირველ რიგში?

— ფოთი, შავი ზღვა, სითბო, სილა, სანაპირო.

ფოთი განსაკუთრებული ქალაქია, საპატიო მოქალაქე გახლავართ, რაც ძალიან მეამაყება, მშობლიურ ქალაქში, რომ გახდები საპატიო მოქალაქე, ამაზე ამაღელვებელი რა უნდა იყოს.

სახლიც მაქვს და ძალიან ხშირად ვსტუმრობ ჩემს საყვარელ ზღვისპირა ქალაქს. ჩემი მშობლები და წინაპრები ფოთელები არიან, მაგრამ მე ოჩამჩირეში დავიბადე, რადგან ჩემს უფროს დას მალარია შეეყარა და მისი ჯანმრთელობის გამო იქ მოგვიწია გადასვლა.

5 წლის რომ გავხდი, 1943 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა მამაჩემი ანტოშა, დედაჩემი დარჩა სამ შვილთან ერთად მარტო და მაშინ დაბრუნდა ისევ ფოთში, რადგან სანათესაო ეგულებოდა და მათი მხარდაჭერის იმედი ჰქონდა დაქვრივებულ ქალს. ბავშვობა იყო საკმაოდ მძიმე, დედას საათობით უხდებოდა მაშინ პურის რიგში დგომა, თუმცა გაუძლო მაინც დედიკომ და ღირსეულად აღგვზარდა. სამივემ დავამთავრეთ უმაღლესი და მივაღწიეთ წარმატებას.

პირველ წელიწადს უმაღლესში ჩასაბარებლად წავედი ოდესაში, მაგრამ ოდესა იგივე თბილისი იყო, იმდენად რთული იყო მოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ 20-დან 19 ქულა მოვიპოვე, მაინც ვერ მოვეწყვე, რადგან ქულა დამაკლდა!.. მომერიდა შინ დაბრუნება და დედასთან წავედი ოჩამჩირეში, სადაც მშენებლობაზე დავიწყე მუშაობა. თუმცა ჩემი ხელები ძალიან სუსტი აღმოჩნდა მშენებლობისთვის...

ერთი წლის შემდეგ პირდაპირ წავედი მოსკოვში და მოვეწყვე პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში ქალაქგარეთ, საკმაოდ შორს ინსტიტუტიდან. მეოთხე კურსიდან დამატებით მოვეწყვე ინგლისურის კურსებზე... ერთ დღესაც, მოვიდა ბორის გელფანტი, რომელიც ასევე სწავლობდა ჩვენს კურსზე, მან მკითხა, თუ რატომ არ მოდიხარ ჩვენთან მეცნიერებაშიო. კათედრაზე ცდებს ვატარებთ ძაღლებზე, გულზე ოპერაციებს ვაკეთებთო. თურმე, ამ ჩემს ამხანაგს წასვლა უნდოდა და შემცვლელს ეძებდა. ეს იყო რექტორის კათედრა, სადაც მივედი... და დავრჩი და დავრჩი!..

საკანდიდატოს რომ ვიცავდი ოპონენტად მყავდა ბურაკოვსკი, იყო ასეთი ცნობილი ექიმი, რომელმაც დაიწყო გულის ქირურგია ძალიან პატარა ბავშვებზე. მაშინ სიკვდილიანობა იყო ძალიან მაღალი. როდესაც მან წაიკითხა ჩემი დისერტაცია, ძაღლებზე ჩატარებული, მიხვდა, რომ ეს ზუსტად ის კვლევა იყო, რაც მას სჭირდებოდა. მან დამიბარა და თავისთან გადასვლა შემომთავაზა. თავდაპირველად ლაბორატორია გამომიყვეს, შემდეგ განყოფილება მომცა, მერე მოადგილედ დამნიშნა და იმ წელს ლენინური პრემიაც მივიღეთ.

ბოლოს ავადმყოფობის დროს, წერილი მისწერა იმ დროინდელ რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ დირექტორად დაენიშნათ ლეო ბოკერია. შემდეგ ჩატარდა არჩევნები და 1994 წელს გავხდი ა.ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორი და 25 წელი ვიკავებდი ამ თანამდებობას.

— მართალია, რომ ოჯახის ინსტიტუტის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვთ?

— ოჯახი არის უმნიშვნელოვანესი!.. ყველაზე ბედნიერი მამა ვარ მსოფლიოში, იმდენად კარგი დამოკიდებულება მაქვს შვილებთან, რომ ყველაფერს ვუზიარებთ ერთმანეთს. ორი ქალიშვილი, ორივე ექიმი, შვიდი შვილიშვილი და მეუღლე. ეს ყველაფერი მაძლიერებს. ძალიან ტკბილი ოჯახი ვართ და ყველაფერს ვუჯერებთ ერთმანეთს.

58 წელია ერთად ვართ მე და ჩემი მეუღლე. ჯგუფელები ვიყავით. დედას,შერჩეული ჰყავდა სამეზობლოში რამდენიმე გოგო, უნდოდა ქართველი ცოლი მომეყვანა. მაგრამ მე მას ვუთხარი: დედიკო ასე არ შეიძლება, ოლგა არის ის, ვისთანაც მინდა, მთელი ცხოვრება გავატარო.

ბოლოს მხოლოდ ერთი კითხვა დამისვა, კარგი ოჯახი მაინც თუ ჰყავსო? — ეს იყო მისთვის გადამწყვეტი, თუ როგორი მშობლების აღზრდილია ადამიანი.

— სიყვარული ნელდება?

— არა მგონია, დღესაც როცა აქ მოვდიოდი, სიყვარულით გამომაცილა ოლგამ და უამრავი კარგი რამ მითხრა. დღეს უფრო ძლიერია ჩვენი სიყვარული, ვიდრე დასაწყისში იყო.

— ვის ეკუთვნის ყველაზე დიდი მადლობა ლეო ბოკერიასგან?

— პირველ რიგში დედას, შემდეგ მამას, რომელმაც გვარი დამიტოვა, ასევე პირველი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს, აკადემიკოს კოვანოვს და ბურაკოვსკის, რომელმაც მიმიწვია ინსტიტუტში და საბოლოოდ ჩემზე მიწერა თვით ქვეყნის პრეზიდენტ ელცინს.

— როდის ბერდება ადამიანი?

— ალბათ მაშინ როდესაც ფიზიკურად ვერ ასრულებს იმას, რაც სურს. ჩემს ასაკში, რომ დღეში 2-3 ოპერაციას აკეთებდეს ვინმე დღეს არავინ მეგულება. იყო ამერიკაში ორი ექიმი, სამწუხაროდ გარდაიცვალნენ. ადამიანი უნდა ცდილობდეს გააგრძელოს დიდხანს სიცოცხლე, ისე აზრიანად, რომ იყო პირველ რიგში ოჯახისთვის მისაბაძი მაგალითი.

— როგორ ფიქრობთ რაშია თავისუფლება?

— თავისუფლებაა, როცა გიყვარს ის, ვინც უნდა გიყვარდეს, ყველას ვისაც სჭირდება შენი დახმარება, შეძლებისდაგვარად გვერდით დაუდგე. უმნიშვნელოვანესია გქონდეს საყვარელი საქმე, რომ სანამ ხედავ და გესმის, შეგეძლოს მისი გაგრძელება.

— განსაკუთრებული მიდგომა გაქვთ დღის რაციონზე, ამბობთ, რომ საუზმე მტერს გაუყავიო, რატომ?-

— მე როგორც ვცხოვრობ, იმას ვსაუბრობ და ძირითადად ჩემი ცხოვრების რეჟიმს ვუზიარებ ხალხს. ვფიქრობ, რომ დილით ზედმეტი ჭამა ადამიანს ნაკლებად შრომის უნარიანს ხდის, ტვინიც ვერ მუშაობს იმ დონეზე, როგორც საჭიროა, რადგან ორგანიზმს უწევს საკვებთან ბრძოლა.

— რა შეგრძნებაა, როდესაც გული ჩერდება?

— ძალიან ცუდი, მაგრამ დღეს ჩვენ იმ დონეს მივაღწიეთ მედიცინაში, რომ საოპერაციოში ავადმყოფი მაგიდაზე არ დარჩება.

— რას ეტყოდით იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც იზრდებოდით, ვისთანაც საქართველოში თქვენი მოგონებები გაკავშირებთ?

— პირველ რიგში, საქართველოს გაუმარჯოს, გვახსოვდეს, რომ ლამაზი და დიდი ისტორია გვაქვს და გავაგრძელოთ ეს ისტორია, მიუხედავად იმისა, სად ვართ და რისი შესაძლებლობა გვაქვს!..

P. S. წარმოიდგინეთ, ძვირფასო მკითხველო, რა დიდებული უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ამდენი მიღწევები აქვს, რომელიც 83-წლის ასაკში, დღეში რამდენიმე ოპერაციას აკეთებს და მშობელ დედას დღესაც დედიკოთი მოიხსენიებს.

ლეო ბოკერია მისაბაძი მაგალითია ყველასთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისთვის. სწორედ ასეთი პროფესიონალი დიდოსტატებისგან უნდა ვისწავლოთ, თუ როგორი უნდა იყოს ღირსეული პიროვნება, რომელიც თავისი დიდების კვარცხლბეკიდან, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულს პირველ ადგილზე აყენებს.

ბატონი ლეოს გული, მართლაც რომ გამორჩეულია-მისი სული კი სისხლის მოძრაობაშია.

გვინდა წელთა სიმრავლე ვუსურვოთ საამაყო ქართველ ქირურგს, აკადემიკოს, ლეო ბოკერიას, რომელსაც სულ მალე 21-დეკემბერს 84-წელი შეუსრულდება.

და ბოლოს: გულწრფელი მადლობა ნოე სულაბერიძეს, რომელმაც ჩვენი უფროსი კოლეგის ნუგზარ რუხაძის თხოვნა გაითვალისწინა და თავისი საავტორო გადაცემის საგაზეთო ვარიანტის შექმნის თანხმობა მოგვცა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

როგორ დაიკარგა აფხაზეთში პიკასოსა და ლეჟეს ნამუშევრები

დაურ კოვე: „უი, ეს სურათი კაბინეტის გვერდით მიკიდია“!

დიმიტრი გულიას სახელობის მუზეუმის თანამრომლებმა წინა კვირას აღმოაჩინეს, რომ აფხაზეთის ეროვნული ბანკის საცავიდან ძვირადღირებული ექსპონატები დაიკარგა — პიკასოს თეფში და ფერნან ლეჟეს ორი ნამუშევარი. როგორ მოხვდნენ ისინი აფხაზეთში და შემდეგ რა ბედი ეწიათ, ამის შესახებ მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ზულია კოკოსკირი „ეხო კავკაზას“ ესაუბრა.

— მოგვიყევით, როგორ მოხვდა დიმიტრი გულიას მუზეუმში პიკასოსა და ლეჟეს ნამუშევრები.

— 1982 წელს კონსტანტინე სიმონოვის (რუსი პროზაიკოსი და საზოგადო მოღვაწე) მეუღლემ მუზეუმს საჩუქრად გადასცა აგუძერაში მდებარე ოთახი, რომელშიც სიმონოვი ზაფხულში მუშაობდა ხოლმე. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე ანდერძი დაწერა. 1946 წელს ის პირველად ჩამოვიდა აფხაზეთში და დიმიტრი გულიას ესტუმრა. მაშინ დამეგობრდნენ და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრებად დარჩნენ. ამაზე სიმონოვის წერილებიც მიუთითებს, რომელშიც ის დიმიტრი გულიას მამას, მის მეუღლე ელენას კი დედას უწოდებს.

— რა იყო ამ ოთახში? რა გადაეცა მუზეუმს?

— 1986 წელს ელენა თავის ქალიშვილთან ერთად მოვიდა ჩვენთან. უნდა წავსულიყავით და ყველაფერი აღგვეწერა. ეს ერთი სააგარაკე ოთახი იყო, რომელიც კოსტანტინე სიმონოვმა დეიდა კატიასგან იყიდა, მოხუცი ქალისგან, რომელსაც სახლი ეკუთვნოდა. ამ ოთახში ყველაფერი ზაფხულისთვის იყო. ზედ ზღურბლთან იდგა საკიდი, მასზე საბანაო ხალათი, ჩალის ქუდები, ჩანთები ეკიდა, ფეხსაცმელები ეწყო ქვიშაში სასიარულო, საბანაო. ოთახში მომცრო ხელნაკეთი კარადა იდგა, რომელშიც რამდენიმე თეფში, ჭიქა და ლარნაკი ეწყო... კიდევ, უზარმაზარი საწოლი იდგა, ესეც ხელით დამზადებული, თლილი, მყარი; მუხის დიდი ხელნაკეთი მაგიდა. მაგიდაზე კოსტანტინე სიმონოვის ხელნაწერები ეწყო. ასევე აფხაზეთის მწერლებისა და პოეტების ხელნაწერებიც. ის ხომ ძალიან ბევრს ეხმარებოდა. ბევრი რუსულ პრესაში სწორედ კონსტანტინე სიმონოვის დახმარებით დაიბეჭდა.

აი, ამ ნივთიებში იყო დიდი დეკორატიული თეფშიც, შავი მინანქრით დაფარული. ამ შავ ფონზე თეთრი მინანქრით გოგონა იყო გამოსახული. აქ იყო ფერნან ლეჟეს ორი ნახატიც. 1986 წელს, როდესაც იქაურობა აღვწერეთ, გადავწყვიტეთ, რომ ამ ოთახში კონსტანტინე სიმონოვის მუზეუმი გაგვეკეთებინა. ცოტა გავარემონტეთ და გავხსენით.

— თუ გაარკვიეთ, ორიგინალი იყო თუ არა ეს ნამუშევრები?

— სიმართლე გითხრათ, არა. მაშინ ახალგაზრდები ვიყავით და ამდენი არ გვესმოდა. მათი ნამდვილობის და ღირებულების დასადგენად საჭიროა საგანგებოდ სადღაც წახვიდე, ექსპერტიზაზე წაიღო. მგონი ახლაც არ გვყავს ისეთი ხალხი, ვინც ამას დაადგენს. მოგვიწევს გავარკვიოთ, მართლაც ორიგინალები იყო თუ არა ეს ექსპონატები.

— სად ინახებოდა და როგორ აღმოაჩინეთ, რომ დაიკარგა?

— ომის შემდეგ მუზეუმი რამდენჯერმე გაიძარცვა. სასწაულია, რომ ფონდში ვერ შეაღწიეს. თან საქართველოდან კი არა, ჩვენები იპარავდნენ, მეზობლის ბიჭი... სათუთუნეების მთელი სერია დავკარგეთ და ვერცხლის პორტსიგარები.

— სად ინახებოდა თეფში და ლეჟეს ნახატები?

— გადავწყვიტეთ, ისინი ეროვნული ბანკისთვის ჩაგვეგზავნა. მაშინ პირადი დაცვა არ გვყავდა. ერთხელ, ერთი პატივსაცემი ადამიანი მოვიდა და ლეჟეს ნახატებზე, პიკასოს თეფშზე გვეკითხებოდა. შეგვეშინდა, გამოვიტანეთ ბანკიდან და ისევ აქ მოვიტანეთ. ეს იყო 2009 წელს. მთავრობა ხშირად იცვლებოდა, მინისტრები იცვლებოდნენ, ყველაფერი იცვლებოდა, გვეშინოდა, რამე არ დამართნოდა. ამიტომ გამოვიტანეთ და საიმედოდ დავმალეთ. ბოლო დრომდე ჩვენ გვქონდა. ყველაფერი

ზულია კოკოსკირი

კარგად იყო. მერე გადავწყვიტეთ, ისევ ბანკში შეგვეგზავნა. და უკვე მეორედ დავმალეთ, 2018 წელს, მაშინ მინისტრი ელვირ არსალია იყო. ჩავდეთ საცავში, საბუთები შევადგინეთ. გამოვიდა, რომ კულტურის სამინისტრო მინისტრის წარმომადგენლობით აბარებს ნივთებსაც. ჩვენი მხრიდან საბუთებს სამმა კაცმა მოაწერა ხელი: დირექტორმა, მთავარმა მცველმა და უფროსმა მეცნიერ–თანამშრომელმა. ახლა ირკვევა, რომ მინისტრს სრული უფლება ჰქონდა, ისინი გამოეტანა. მე ვეთანხმები, რომ უკითხავად აღება შეუძლიათ, მაგრამ ჩვენთვის უნდა შეეტყობინებინათ.

წელიწადზე მეტი არაფერი ვიცოდით. როდესაც ნივთები ჩავაბარეთ, მინისტრი არსანია იყო, როდესაც დაიკარგა — გუდისა აგრბა. რადგან მინისტრს შეუძლია საცავში შევიდეს და რაც უნდა, აიღოს, ასეც მოიქცა. პირველ მოადგილესთან დინარ სმირნთან ერთად წავიდა. მუზეუმის დირექტორმა სვეტა კორსაიამ დაურეკა და საუბარში მან დაუდასტურა, რომ იყვნენ იქ მისულები. არ უარუყვია. მაგრამ წელი და სამი თვე გავიდა. ხომ შეიძლებოდა ჩვენთვის ეთქვათ, რომ აი, წავედით და ავიღეთ ეს ნივთები. ვითომ რესტავრაციისთვის ავიღეთო. რა რესტავრაციისთვის? სადაა ამ რესტავრაციის შედეგი? ან თავად ეს ნივთები სადაა? გაირკვა, რომ არავითარი რესტავრაცია არ ჩატარებულა. ნივთები ბანკის საცავიდან გამოიტანეს და მორჩა.

იხ. 8 გვ.

ᲛᲐᲠᲒᲐᲠᲘᲢᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ:

ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲐᲒᲔᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲔᲚᲘᲡ

ᲗᲣ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲝᲛᲨᲘ ᲬᲐᲐᲒᲔᲑᲡ, ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲐᲒᲔᲑᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ ᲫᲕᲐᲤᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲡ, – თქვა კრემლის პროპაგანდისტმა, RT-ის მთავარმა რედაქტორმა მარგარიტა სიმონიანმა მისი კოლეგის – ვლადიმირ სოლოვიოვის თოქ-შოუში – და მოუწოდა უკრაინის კიდევ უფრო ინტენსიურად დაბომბვისკენ: **„რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, კიევის კიდევ ერთი რაიონი დარჩება თუ არა ელექტროენერგიის გარეშე? ვერც კი წარმოიდგენთ იმ კატასტროფის მასშტაბებს, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდება, თუ ჩვენ მოვახერხეთ დამარცხება!“.**

სოლოვიოვის რეპლიკა მოჰყვა, რომელიც ბირთვული შანტაჟის შემცველი იყო, **„მსოფლიო ნანგრევებად იქცევა“.**

ბევრი რუსი კომენტატორი გაოცებული დარჩა მსგავსი გულწრფელობით, აღიქვეს რა ეს გამოსვლა შიშის გამოვლინებად. რადგან, მათი დაკვირვებით, პროპაგანდისტულ ეთერებში თითოეული სტუმარი წინასწარ გადის გასაუბრებას, ნაწილდება როლები, თუმცა ყალბი დისკუსიის წარმართვისას, ხდება ხოლმე უნებლიე „გაჟონვა“. ხოლო ნაწილმა, მოსახლეობის დაშანტაჟების განზრახვა ამოიკითხა.

„პროპაგანდისტები იწყებენ გაცნობიერებას, რომ იულიუს შტრაიხერის (გერმანელი პოლიტიკოსი, მესამე რაიხის დროს, ანტისემიტური ყოველკვირეული გაზეთ „შტიურმერის“ გამომცემელი – რედ.) ბედი მათი შესაძლო პერსპექტივაა. ნებსით თუ უნებლიეთ, შურისძიების შიში იწყებს გარღვევას“, – ფიქრობს **ანტონ ნესმიანი**.

არკადი იანკოვსკი კი დარწმუნებულია, რომ „მათ მართლა შეეშინდათ! ხმაში არ იგრძნობა თავდაჯერებულობა, ზეწოლა. იწყება თამაშის ამ სვლის დასასრული, რეჟიმი კანკალებს და მერყეობს. ეს შეიძლება, გაგრძელდეს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ მისი მგრძნობიარე და ოპორტუნისტი მიმდევრები ციებ-ცხელებით იკრუნჩხებიან და მათ ნამდვილად ეშინიათ, რადგან პირადი აპოკალიფსი საშინელია“.

სერგეი ზოლოვკინისთვის „ბევრად უფრო აქტუალური ხდება კითხვა: „უფალო, სადღა გავიქცე? სად გადავირჩინო თავი?!“.

ხოლო **მიხაილ პლეტნევი** ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სიმონიანი პასუხისმგებლობას ანაწილებს ყველა მოქალაქეზე: „პუტინი უნდა დარჩეს, თორემ კიდევ უარესი იქნებაო“. ეს ძალიან ძლიერი მანიპულაციაა, მაგრამ მკაფიო ალტერნატივის არარსებობის შემთხვევაში, ადვილად შეიძლება დაემორჩილო მას“.

ალექსანდრე ნევზოროვიმაც ქვეტექსტად მოსახლეობის შანტაჟის მცდელობა ამოიკითხა:

„რა ბედნიერებაა, რომ ასეთი სულელები არიან! ისინი კვლავ ყვირიან ატომურ ბომბებზე, ᲰᲐᲐᲒᲘᲡ ბირთვულ განადგურებაზე. არ ესმით, რომ ბირთვული ომის პირობებში სამყარო სერიოზულ ჭრილობებს მიიღებს, მაგრამ გამოჯანმრთელდება, განიკურნება და აღდგება. მაგრამ რუსეთისგან აღარაფერი დარჩება, არც სახელი და არც ჩრდილი. ყურადღება მიაქციეთ მათი გამოსვლების მნიშვნელობას: „სამყარო უნდა ააფეთქონ ატომური იარაღით, რომ ადგილი არ დარჩეს, სადაც გაგვასამართლებენ ტერორიზმისა და ომის დანაშაულებისთვის“.

სულელი სიმონიან-სოლოვიევების გულწრფელობა მომხიბვლელია. ისინი მზად არიან, ცოცხლად დაწვან რუსეთის 140-მილიონიანი მოსახლეობა, რათა არ დასხდნენ საერთაშორისო ტრიბუნალის სკამზე“.

მის ხედვას იზიარებს **ალექსეი ლაპშინიც**: „არაფერი ახალი, თუ არა მოსახლეობის ღია შანტაჟი. რას ნიშნავს „მთელი სამყარო ნანგრევებში იქნება“? ანუ რუსეთიც არ იქნება? ნათელია, რომ კრემლი არ აპირებს რადიოაქტიურ ფერფლად გადაქცევას. თუმცა, არსებითად, ხალხს ეუბნებიან, რომ ისინი მძევლად არიან. რომ ამ რეჟიმის ნგრევა მათთვისაც კატასტროფას ნიშნავს. ამ კონტექსტში კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე შეგონებები მხოლოდ ეხმარება პროპაგანდას, რომ გააჩინონ მძევლების ფსიქოლოგია, ენერგიულად გააძლიერონ სიკვდილის მანქანა“.

ᲰᲘᲑᲠᲘᲓᲣᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲫᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც აკვირდება რუსული პროპაგანდის მეთოდებს, ხასიათს, ტენდენციებს, „აქცენტთან“ ამბობს, რომ საქმე გვაქვს სისტემასთან, სადაც გადანაწილებულია როლები, რომელიც აკვირდება საზოგადოებრივ განწყობებს და თავს ახვევს აზროვნების თუ ქცევის წესებს:

„აქ ორი საკითხია: მაგალითად, მოსახლეობის ნაწილშიც არსებობს განწყობა, რომ იგივე ხერსონიდან რუსული ჯარის გასვლა არასწორია, ამიტომ, პროპაგანდა ქმნის ხელოვნურ წინააღმდეგობას, რომ მოსახლეობას მიაწოდოს იმგვარი ინფორმაცია, რასაც თავად თვლის საჭიროდ. სწორია თუ არა ხერსონიდან გასვლა, ამგვარ კითხვას სოლოვიოვი ვერ დასვამს, რადგან ის მყარ და სწორ პოზიციაზე მდგომი პირის როლში გვევლინება. შესაბამისად, მას ეთერში ᲰᲧᲐᲕᲡ ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავზე იღებენ ამ ნარატივის გაჟღერებას, რომელსაც იქვე გააკრიტიკებენ მკაცრად და მოსახლეობასაც აძლევენ ქცევის მაგალითს, „ამგვარ კითხვას სწორედ ასე უნდა უპასუხო, რადგან ესაა სწორი პასუხიო“. რაც შეეხება ბირთვული ომის ნაწილში სიმონიანის განცხადებას, რომ „კრემლის დამლაგებელსაც გაასამართლებენო“, ეს საინტერესო ნიშანია: როგორც ჩანს, მათმა კვლევამ აჩვენა, რომ რუსეთის საჯარო მმართველობის სისტემაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ბოლომდე დარწმუნებულები არ არიან ამ ომში რუსეთის გამარჯვებაში და უჩნდებათ იდეები, „რამე რომ მოხდეს, თავი როგორ გადავირჩინო? ხომ არ სჯობს, უკან დავიხიოო?“.

კონსოლიდაცია სჭირდებათ: უნდა შექმნან გარემო, რომ „მარცხის შემთხვევაში ყველანი განწირულები ვართ, ამიტომ, ახლა უკან დახევა არ შეიძლება, ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთო“, და ეს თქვა სიმონიანმა, რომელიც პოზიციონირებს როგორც „სიმართლის მთქმელი“.

WASHINGTON POST: ᲘᲪᲘᲙ ᲛᲝᲨᲔᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲛᲐ 2 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲚᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐᲪ ᲓᲐᲣᲙᲕᲔᲗᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ **Washington Post**-ის ინფორმაციით, საქართველოში ბიზნესმენ იციკ მოშეს მკვლელობა ირანის მოქალაქე შაჰრამ პურსაფიმ დაუკვეთა. მასვე უკავშირდება 2020 წელს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში შეერთებული შტატების პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ყოფილი მრჩევლის ჯონ ბოლტონის მკვლელობის დაკვეთაც. ინფორმაციას ამერიკული გამოცემა კონფიდენციალურ წყაროებზე დაყრდნობით აქვეყნებს.

„დასავლელი ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ პურსაფიმ საქართველოში მცხოვრები ბიზნესმენის, საქართველო-ისრაელის ბიზნეს-პალატის პრეზიდენტისა და „ისრაელის სახლის“ დამაარსებლის იციკ მოშეს მკვლელობა დაუკვეთა“, – წერს გამოცემა.

„ირანს აქვს საზღვარგარეთ მცხოვრებ იმ პირთა სია, რომლებიც მათი რეჟიმისთვის საშიშად მიიჩნევა. თეირანის სამიზნეები არიან: ამერიკელი, კანადელი, ბრიტანელი, თურქი და ევროპელი თანამდებობის პირები, ჟურნალისტები, რომლებიც ირანის რეჟიმს აკრიტიკებენ, ასევე ებრაელი და ისრაელთან კავშირის მქონე მოქალაქეები.

დასავლელი თანამდებობის პირები ვარაუდობენ, რომ პურსაფიმ გასულ წელს საქართველოში მცხოვრები ბიზნესმენის, იციკ მოშეს მკვლელობა სცადა. ის წლებია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და ისრაელს შორის ურთიერთობის გასაღრმავებლად მუშაობს,“ – ნათქვამია სტატიაში.

შაჰრამ პურსაფი ისლამური რევოლუციის გვარდიის კორპუსის (IRGC) წევრი და 2 წლის წინ ბოლტონის მკვლელობის სავარაუდო ორგანიზატორია. მან სოციალური ქსელის საშუალებით „დაავერბოვკა“ ადამიანი, რომელიც მკვლელობის მოწყობაში ეხმარებოდა. მასვე ევალებოდა ბოლტონის თვალთვალი. პურსაფის არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მისი ე.წ. „თანაშემწე“ FBI-ის წევრი იყო. ინფორმატორი თვეების განმავლობაში აგროვებდა ინფორმაციას პურსაფისგან ბოლტონის მკვლელობის შესახებ. შაჰრამ პურსაფი ბოლტონის მკვლელობისთვის 300 000 დოლარს იხდიდა.

აშშ-ის მთავრობის განცხადებით ბოლტონის მკვლელობით პურსაფის ირანელი გენერლის, ყასემ სოლეიმანის მკვლელობაზე შურისძიება სურდა.

მოამზადა
ᲛᲐᲙᲐ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ



ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲘᲙᲐᲠᲒᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡᲨᲘ ᲞᲘᲙᲐᲡᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲔᲟᲔᲡ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ

(ᲛᲔᲛᲕᲘᲓᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ) ᲐᲢᲧᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ. ჩვენ, უბრალოდ, შემთხვევით წავედით, გასარკვევად, რადგან ცოტა ხნის წინ ისევ დაიწყეს ამ ნივთებზე საუბარი. ვიფიქრეთ, რომ საჭირო იყო ბანკში მივსულიყავით და გაგვერკვია, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა. როცა მივედით, აღმოვაჩინეთ, რომ საცავი ცარიელია. ვკითხეთ, თუ რის საფუძველზე გასცეს. იქ მომუშავე გოგონებმა აგვიხსნეს, რომ მინისტრს უფლება აქვს, საცავიდან ნივთები გაიტანოს. გოგოებმა გაატანეს, რადგან ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდათ. იქ პიკასო და ლეჟეც რომ ყოფილიყო მითითებული, ამ გოგოებს შესაძლოა მაინც არ სცოდნოდათ, რამდენად ძვირფასია ეს ნივთები. არც უკითხავთ, ისე გაატანეს.

როცა აღმოვაჩინეთ, რომ აღარ არის ნივთები, 22 ნოემბერი იყო. იმავე დღეს მოვიწვიეთ ჟურნალიტები, პროკურატურა. ყველა სტრუქტურა შევკრიბეთ და ამის შესახებ განვაცხადეთ.

— ახლა იცით, ეს ექსპონატები სადაა?

— ახლანდელმა მინისტრმა დაურ კოვემ ამის შესახებ რომ შეიტყო, ჩვენთან მოვიდა და გვკითხა: რა მოხდა, რა დაგემართათო. ჩვენ ამ ნივთების ფოტოები გვაქვს. რომ ვაჩვენეთ, უი, ეს კაბინეტის გვერდითა ოთახში მიკიდიაო. ლეჟეს აბსტრაქცია ეკიდა. მეორე ნახატი კი, რომელზეც გოგონას თავია გამოსახული, დაგრაგნილი იდო ქაღალდებში. დეკორატიული თეფში ჯერ ვერ ვიპოვეთ. დაგვაიმედეს, თუ აფხაზეთის ტერიტორიაზეა, აუცილებლად მივაგნებთო. ჩვენ მათი გვჯერა, იმედი გვაქვს, რომ თეფში ჯერაც აფხაზეთშია...

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲖᲐᲕᲝᲓᲡᲙᲐᲘᲐ

ევროკავშირი რუსული ნავთობით ისევ სარგებლობს

ევროკავშირის ქვეყნები ერთი ბარელი რუსული ნავთობის 60 დოლარად შესყიდვის ზედა ზღვარზე შეთანხმდნენ.

„დიდი შვიდეულის“ სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ რუსული ნავთობის ფასზე ზედა ზღვარს დააწესებენ, რამაც უნდა შეამციროს ნავთობის გაყიდვებიდან შემოსავალი და შეასუსტოს უკრაინის წინააღმდეგ ომის დაფინანსების შესაძლებლობა.

„ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს საერთო პოლიტიკურ განზრახვას, დავასრულოთ და განვახორციელოთ ყოვლისმომცველი აკრძალვა იმ სერვისებზე, რომელიც მთელ მსოფლიოში რუსული წარმოშობის ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საზღვაო ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. ასეთი სერვისების მიწოდება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეძენილია ფასის ზედა ზღვარით“, — განაცხადეს „დიდ შვიდეუში“.

ვერ დავუშვებთ, რომ პუტინმა ჩვენი შობა და ახალი წელი მოიპაროს

კიევის მერმა, ვიტალი კლიჩკომ განაცხადა, რომ ქალაქი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შობისა და ახალი წლის მოპარვის უფლებას არ მისცემს.

„ჩვენ გვესმის, რომ მასობრივი ღონისძიებები ომის დროს აკრძალულია. ის არავითარ შემთხვევაში არ გაიმართება, თუმცა არავინ აპირებს ახალი წლისა და შობის გაუქმებას და საახალწლო ატმოსფერო უნდა იყოს. ვერ დავუშვებთ, რომ პუტინმა ჩვენი შობა და ახალი წელი მოიპაროს, თუმცა, ჩვენ გადავწყვიტეთ ამის საზოგადოებრივი ღონისძიებებისა და საკონცერტო პროგრამების გარეშე ჩატარება. მხოლოდ ნაძვის ხე დამონტაჟდება, რომ ჩვენს შვილებს საახალწლო განწყობა შეახსენოს“, — აღნიშნა ვიტალი კლიჩკომ.

დედაქალაქში ნაძვის ხეები ბიზნესმენების და არა ქალაქის ბიუჯეტის ხარჯით დაიდგმება.

რუსეთმა გემების 15 პროცენტი დაკარგა

უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შემდეგ რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა ხომალდების 15% დაკარგა.

უკრაინაში შეჭრის დაწყებამდე რუსეთის შავი ზღვის ფლოტში 275 გემი შედიოდა, მათგან 58 იყო საბრძოლო ხომალდი. კატარღების ჩათვლით რუსულ ძალებს 74 საბრძოლო ერთეული ჰყავდათ.

ომის დაწყების შემდეგ როგორც მინიმუმ 12 ხომალდი და კატარღა იყო განადგურებული ან მნიშვნელოვნად დაზიანებული. ყველაზე დიდი დანაკარგი იყო 13 აპრილს შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანის, კრეისერ „მოსკოვის“ ჩაძირვა. უკრაინულმა მხარემ და პენტაგონმა განაცხადეს, რომ ხომალდს უკრაინული რაკეტა მოხვდა. რუსული მხარე ამას უარყოფს და კრეისერის დაღუპვის მიზეზად ხანძარს ასახელებს.

ზნეობრივი კატასტროფა,

ანუ გამოუსწორებელი ტრადიციონალისტის წერილი ყველა ნამდვილ კაცსა და ქალს, რომლებიც „ბილწთ არ შეეკვრიან ზავითა“

ძვირფასო თანამემამულენო!

კატასტროფა კარზე მოგვადგა, ცოტაც და უზნეოგის პირდია უფსკრულში შთავინთქმეგით. დიახ, ეს უფსკრული უზნეოგის უფსკრულია, მასში ჩაცვენილეგი ორ ფეხზე კი დადიან, მაგრამ ადამიანეგი აღარ არიან, რადგან ზნეოგა ადამიანოგის მთავარი ნიშანია. უზნეო არსეგა კი განწირულია, უთუო გადაშენეგა უწერია. გადავარჩინოთ ქართველთა მოდგმა! ჩვენი ისტორიული მისია არის ეს! ჯერ კიდევ შეიძლეგა გადარჩენა, თორემ თუ დავაგვიანეთ ჩვენს გარშემო მკგენარეგივით გამრავლდეგიან ლაშა გუდაძისნაირეგი, ლევან გერძენიშვილის მსგავსი არსეგეგი, ნინო ლომჯარიასნაირი სახალხო დამცველეგი, ხატია დეკანოიძისა და მისი ჯილაგის მიმდევარი ხალხის „რჩეულეგი“ და სხვანი და სხვანი.

ვაი რომ, ეს არის რეალობა, რომელსაც ყველა ხედავს, ვისაც თვალში სინათლე და ყურში სმენა არ დაუკარგავს, მაგრამ ყველა როდი ხვდება, თუ როგორ დაიწყო ეს უბედურება და როგორ მივედით იქამდე, რომ პედარასტები და მამათმავლები აღლუმების მოწყობას ლამობენ და ხელისუფლების ხელში ჩაგდებას ეპოტინებიან. არც ის იცის ყველამ, რომ ამ უბედურებაში ლომის წილი ჩვენ, რიგით ქართველებს გვიძევს.

როგორ? როგორ და ზერელედ და უდარდელად რომ ვუცქერდით იმ პატარ-პატარა უზნეობებს, შემდეგ კი ამას შეჩვეულები დიდ-დიდ უზნეობასაც ვეგუებოდით, ვხუმრობდით კიდეც. აი, მაგალითად: ნეოლიბერალების ერთ-ერთ პირველ „დემოკრატიულ მოთხოვნას“ – მოზარდს, მით უფრო სრულწლოვანს, უფლება აქვს თვითო აირჩიოსო სქესი, ჩვენ ანეკდოტით შევხვდით: ერთი კაცი ეუბნება მეგობარს, გილოცავ, ბავშვი შეგეძინაო; გოგო გყავს თუ ბიჭი?..

– გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტსო – პასუხობს ახალგედა მამა. ჩვენ ვიცინოდით ამაზე. ახლა სქესის შეცვლის მოსურნე, თუ უკვე – სქესშეცვლილი ახალგაზრდები მიტინგეგსა თუ პიკეტებს აწყობენ ჩვენს ცხვირწინ! ვიცინოთ ახლა, თუ ვიტიროთ?

როდესაც ნეოლიბერალმა, ასევე ნეოლიბერალური ხელისუფლების მხარდაჭერით, სკოლაში აღზრდის სისტემა გააუქმეს, ჩვენ მცირე გამონაკლისის გარდა, ვერც კი გავიგეთ და არც ხმა ამოგვიღია ამ ბოროტებაზე, იმ ვაიფსიქოლოგეგს დავუჯერეთ, რომლებიც „ამტიკიცებენ“, რომ აღზრდა პიროვნებაზე ძალადობაა და ჩვენი ამოცანა ბავშვის განვითარების ხელშეწყობაა და არა ჩვენი შეხედულებების მისთვის თავსმოხვევაო. აღზრდა, რომ პიროვნების სოციალური განვითარების უმთავრესი და უპირველესი საშუალებაა, განა არ იცოდნენ იმ ვაი-უი ფსიქოლოგეგმა, მაგრამ დიდი მაყუთი ჰქონდათ ჩაჯიბული კაცობრიობის გადაგვარების მოსურნეთაგან და მათ დავალებას მონური ერთგულებით ასრულებდნენ.

არც მაშინ აღშფოთებულა საზოგადოება, როდესაც ნეოლიბერალების აქტივისტებმა ტროცკისტულ-სატანისტური დროშა ააფრიალეს და ეკლესიისა და წმინდანების აბუჩად აგდება დაიწყეს. აღშფოთდა კი არა, ამნაირი მახინჯები ლაშა და მამამისი (ბუღაძეები) ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში კულტურტრეგერებად მიიჩნიეს, ხოლო ეკლესიის წიაღში გამოჩენილი ღვთისმგმობელები, მედროვე ავაზაკები, ეკლესიის თავშეფარებული ყაჩაღები, რომლებიც სახელს უტეხდნენ მართლმადიდებლობას, მრევლის აყოლიებასაც ახერხებდნენ და დიდ-დიდ საეკლესიო თანამდებობებსაც იკავებდნენ, არავითარი არსებით წინააღმდეგობას არ აწყდებოდნენ.

ახლახან ტელევიზიით აჩვენეს ერთი ე.წ მღვდელმთავარი, რომელიც ქადაგებდა: მიხეილ სააკაშვილი უდიდესი ისტორიული პიროვნება და ეროვნული მოღვაწეა და მისი პატიმრობა დიდი დანაშაულიაო. მანამდე ერთმა ეპისკოპოსმა იგი დავით აღმაშენებელს შეადარა.

XII საუკუნეში, ვიდრე დიდი დავითი გამოჩნდებოდა, ერი გადაგვარების გზაზე იდგა, აღარც ომი შეეძლო და აღარც შრომა, აღარც ეროვნული თავმოყვარეობა გააჩნდა და აღარც ეროვნული სიამაყე. რაც ერიო, ის ბერიო, – ... უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და იმდროინდელ სამღვდელოებაშიც გამეფდა ყველა ის ნაკლი, რაც ერში იყო გაბატონებული. ეკლესია კი ზნეობის გამავრცელებელი, დამამკვიდრებელი და დამცველი იყო მუდამ და დიდმა დავითმაც ქვეყნის აღორძინება ეკლესიის განმტკიცებით დაიწყო. რუის-ურმნისის საეკლესიო კრებამ გაწმინდა ღვთის სახლად წოდებული ეკლესია უზნეო, ავაზაკი მღვდელმთავრებისგან.

დღეს რატომ არის ასეთი შემწყნარებლობა? რატომ არ არიან განკვეთილები მართლმადიდებლობის მტრების აშკარა აგენტები ეკლესიიდან? დემოკრატიაა ეს, თუ იმის იმედი, რომ შესაძლებელია ხელახალი აღზრდა ისეთი „ეპისკოპოსებისა“, რომელთა სახელები ყველამ იცის! აი, ერთი თანამედროვე ხალხური ლექსი:

„ვერ მოვიშუშეთ ძველი იარა,
ასე ცხოვრება გაგვიჭირდება,
ახლა დიდგორის ბრძოლა კი არა,
რუის-ურმნისის კრება გვჭირდება!“

აი, ასე! ხალხურ პოეზიაში არც წინათ და არც ახლა, არასწორად ნათქვამი, ერთი სტრიქონიც არ არის!

აი, რამ მიგვიყვანა იქამდე, რომლის იქით ჯოჯოხეთის უფსკრულია: ბავშვის აღზრდა საჭირო არ არის, ზნეობის მასტიონი ეკლესია ბნელეთის მოციქულია, ღმერთი არ არის, მაშასადამე ყველაფერი შეიძლება, პიროვნების სრული თავისუფლება მეფენიერებაა, სირცხვილის გრძნობა თრგუნავს პიროვნებას, ანუ სირცხვილია, სირცხვილი! რას ველით ამ დებულებების საფუძველზე გაზრდილი ახალგაზრდებისგან? ტრანსპორტში მოხუცს სკამი დაუთმონ? პედაგოგს მოწიწებით მოექცნენ? დედ-მამას პატივისცემით მოექცნენ? მეგობრობა იცოდნენ, სიყვარული თუ ერთგულება? სამშობლოს დაცვის მოვალეობა ჰქონდეთ? ვაი, ჩვენს პატრონს!

ის, რაც ამას წინათ მონასტერში მოხდა ქვეყნისა და ერის თავის მოჭრაა, მაგრამ ხვალ-ზეგ უარესიც მოხდება, მაგრამ მოსაჭრელი თავი აღარავის ექნება!

იმ მოსყიდულმა მეცნიერებმა კი თქვეს, აღზრდა პიროვნებაზე ძალადობააო, მაგრამ განათლების სამინისტრომ რატომ დაიჯერა ეს? თუმცა, რა, ციხის „ნადზირატელმა“ ნაპროკურორალმა, ცალტვინა ფილაფოზმა (ვითომ ფილოსოფოსმა), ბუღალტერმა და მისმა მსგავსმა განათლების მინისტრმა რა იციან პიროვნების სოციალური განვითარების შესახებ, ნეტავი? არც არაფერი! არ ცოდნა არ ცოდვააო, ნათქვამია, მაგრამ ცოდვა არც იმათ ედებათ, ვინც ეს სანტექნიკოსები განათლების მინისტრის პოსტზე გაამწესა? ამბობენ, ახლანდელი განათლების მინისტრი, განათლებული კაციაო და არც ამან იცის, რომ აღზრდის გარეშე სოციალური ფენომენი ადამიანი არ ყალიბდება? აღზრდა რომ ადამიანში ადამიანის განვითარებაა, არ იცის განა? თუ იცის, რას უჯერებს ამ უჯიშო და უჯილაგო ლიბერასტებს და რატომ ჰგონია, რომ სკოლების აშენება თუ გარემონტება საკმარისია ნამდვილი მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად.

ამ ბოლო ოცდაათ წელიწადში, ყველა დიდ ეზოსა თუ უბანში ეკლესიები რომ აშენდა და ეპარქიების რაოდენობა ათგზის გაიზარდა, ხალხის ზნეობა განმტკიცდა თუ ღვთისმორწმუნეთა რაოდენობა გაიზარდა უზომოდ?! ის კი არა, პირიქით მოხდა, სწორედ ამიტომ არის სასწრაფოდ ტრადიციებთან დაბრუნება ყველა მისაღები გზითა და საშუალებით.

ეს გზები და საშუალებები უხვად არის მოცემული განათლების მეცნიერებაში, სოციოლოგიაში, ისტორიაში და ხალხის მეხსიერებაშიც, იმის ნაცვლად, რომ ამ დიდ მემკვიდრეობას მივმართოთ, ჩვენი ხელისუფლება დღედაღამ იმაზე ფიქრობს, შარლ მიშელისა თუ ევროკავშირის საშინაო დავალებები როგორ შეასრულოს. **ქრისტეს ათი მცნება აღარ ახსოვთ და რაღაც კავშირის მესვეურეგის გამგზავნილი თორმეტი მცნეგის დაზეპირეგას ცდილოგენ!**

ახლა ერთი საშინელი კანონპროექტია პარლამენტში ერთობ აქტუალურ ფაზაში. ეს არის კანონპროექტი ოჯახური ძალადობის შესახებ. ამის მიღება იმაზე ათჯერ და ასჯერ მძიმე შედეგებს მოიტანს, რაც ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა მოიტანა. ხომ აფრთხილებდა ჩვენს კანონმდებლებს მისი უწმინდესობა საქართველოს პატრიარქი, არ მიიღოთ ეგ კანონიო. არა და მიიღეს! ამ კანონის მიხედვით პედერასტებს, ლესბოსელებსა და იმნაირებს უფლება აქვთ აღლუმი მოაწყონ რუსთაველზე. რომ არა კონსერვატორების თავდადება, მოაწყობდნენ კიდეც, ახლა აქტივისტი კონსერვატორები ციხეში სხედან, პედერასტები კი მოითხოვენ, კიდევ ბევრია დასაჭერი და დაიჭირეთო.

რა გინდათ, ჩვენი პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით ელგებეტე „თემის“ პედერასტები მართლები არიან, ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დამცველები კი დამნაშავეები. ახლა ძალადობის წინააღმდეგ რომ მიიღებთ, ძვირფასო ხალხის რჩეულებო, კანონს, ვინ უნდა განსაზღვროს რა არის ძალადობა და რა – ზნეობრივი საქციელისაკენ მოწოდება, თუ საამისოდ აუცილებელი იძულება? შუაღამისას რომ დაბრუნდეს შინ თორმეტი წლის გოგო და მამა ხმამაღლა გაუწყრეს, ბავშვმა თუ ბავშვის უფლებათა კონვენცია იცის, ამ განწყობას ძალადობად ჩათვლის და პატრულს გამოიძახებს, ის პატრული ძალადობის მსხვერპლს დაუჯერებს და მამას ციხეში მიაბრძანებს. ამის დაკანონება გინდათ? ვაი თქვენს პატრონს და უი ჩვენს სიგლახეს და გამოსირებას! (ისე გამოსირება უცენზურო სიტყვა არ გეგონოთ, სირი ჩიტს ნიშნავს ქართულად, ჩიტს კი ქათამზე ნაკლები ჭკუა აქვს. გამოსირებული ჩიტის ჭკუის კაცს ნიშნავს)

ამ კანონის მიღება და ოჯახების მასობრივი დანგრევა ერთი იქნება (ეს უნდათ სწორედ, ნეოლიბერალებს!), ოჯახების დანგრევა ერისა და სახელმწიფოს სხეულის დაშლაა.

აი, ასეთია ავი პერსპექტივა! მთელი ერი უნდა დადგეს ფეხზე. რა „ძალადობის საწინააღმდეგო კანონი“! სისხლის სამართლის კოდექსი ძალადობის წინააღმდეგაა მიმართული, მის წასახალისებლად კი არა! რომ გვატყუებენ ვერ ხედავთ ამას? თუ ხედავთ, ქუდზე კაცი მაშინ! გულზე მუშტის ბრაგუნის დრო წავიდა, ახლა ჩვენი დამაქცევრების თავში მუშტების ჩაბრაგუნების დროა, რამდენი სულელი, ბოზი და პედერასტი გამოვა ქუჩაში, ხელში ბანერს დაიკავებს და იკივლებს, სახელმწიფომ ამაზე თუ ააგო საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, მაშინ მალე წავა „დიხას“ და ვეღარ მოვა დიდხანს! თუმცა, დიხაში ანუ მიწაში წასული ვეღარც დიდხანს მოვა და ვეღარც ვერასდროს, ისევე როგორც აღარ დაბრუნდებიან მიდია და ურარტუ, პართეია და ბაბილონი!

დმერთო, დაიფარე საქართველო, რამეთუ უმრავლესობა ჩვენში ჯერ კიდევ ზნეობრივია, უზნეონი ერთად დგანან და ამიტომ ჩანან მცირენი.

ზურაბ ცუცქირიძე,
555 56 75 37

◎ ეტლით

ოქროს ტრიო

როცა ქართულ ქალთა სპორტზე ვსაუბრობთ, საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ ეტლით მოფარიკავეთა ფენომენს, რომლებიც თითოეული ტურნირიდან სამშობლოში თავაწეულნი ბრუნდებიან. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ უნგრეთის ქალაქ დიორში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების მცირე ფინალში მოხმალავე ჯვაროსნებმა იტალიელებს სძლიეს და საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხური დაიკავეს.

კვლავ სკუადრა აძურას შეხვდა ჩვენი გუნდი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში და დიდი უპირატესობით დაამარცხა, ხოლო უმძაფრესი სატიტულო ბრძოლა **ირმა ხეცურიანმა, ნინა თიმილაშვილმა** და **გვანცა ზადიშვილმა** 45:42 მოუგეს უკრაინელებს და ოქროს მედალი მოიხვეჭეს.

დღეს რაპირისტთა გუნდური ტურნირია.

◎ ტატამზე

ბრინჯაოც მედალია

ტოკიოში მიმდინარე ძიუდოს გრანდ სლემზე გუშინ ხუთი ქართველი ძიუდოისტი ასპარეზობდა, რომელთაგანაც ფინალურ ბლოკში მხოლოდ ლაშა ბექაური (90კგ) გადავიდა.

ტოკიოს ოლიმპიადის გამარჯვებულმა ტურნირი კარგად ჩაატარა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ქართველმა მესამე ადგილისთვის ბრძოლაში 2016 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, იაპონელი მაშუ ბეიკერი გაფრთხილებებით დაამარცხა.

იმავე დღეს ტურნირზე გამომსვლელი ოთხი ქართველი ქალი ძიუდოისტი ეთერ ლიპარტელიანი, ნინო ლოლაძე (ორივე 57 კგ), ეთერ ასკილაშვილი (63 კგ) და ნინო გულბანი (70 კგ) შეჯიბრებას ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ და ტოკიოს გრანდ სლემი უმედლოდ დაასრულეს. დღეს ტოკიოს ტურნირზე ერთი ქართველი ძიუდოისტი – მძიმეწონოსანი სოფიო სომხიშვილი იასპარეზებს.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

იწყება პარტნიორობის ახალი ეტაპი

საქართველოს რაგბის კავშირმა და თიმისი ბანკმა სასპონსორო, საპარტნიორო ურთიერთობა განაახლეს და ახალ, შესაბამის 4-წლიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი.

ხელშეკრულების ფარგლებში თიმისი რაგბის პოპულარიზაციაზე იზრუნებს როგორც შიდა ჩემპიონატის, ასევე საერთაშორისო ასპარეზობების ფორმატში, ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენს ერთობლივ სოციალურ პროგრამებს, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში სარაგბო ფესტივალებს. მხარეები ერთობლივად იზრუნებენ რაგბის მარკეტინგსა და ბრენდირებული პროდუქციის მასობრივ რეალიზაციაზე.

იოსებ ტყემალაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი: „ქართულმა რაგბიმ ამ ბოლო, ძალიან მოკლე პერიოდში ზედიზედ რამდენიმე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და რაგბის მთელ სამყაროს აჩვენა, რომ აქვს განვითარების უდიდესი პერსპექტივა. მსოფლიო მედიაც უკვე ალაპარაკდა ქართულ ფენომენზე რაგბიში, – უელსთან გამარჯვების შემდეგ ბიბისის კომენტატორმა ქართული ნაკრების სიძლიერე იმით ახსნა, რომ რაგბი ყოველი ქართველის სისხლშიაო. და ეს სიმართლეა, ჩვენი ისტორიული ლელობურთი ამის დასტურია. და ისიც, რომ საქართველოს, სადაც რაგბი მხოლოდ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, ამდენი სახელოვანი ვეტერანი მორაგბე ჰყავს – მათ მსოფლიო იცნობს და აღიარებს. ისინი ათწლეულების განმავლობაში უყრიდნენ საფუძველს დღევანდელ წარმატებებს, რასაც ბოლო წლებში ბიძინა ივანიშვილის მსოფლიოში უპრეცედენტო ქველმოქმედებაც დაემატა, – 100 მილიონი დოლარის ინვესტირება სარაგბო ინფრასტრუქტურაში და ეს უმძლავრესი ბიძგი აღმოჩნდა.

ამდენად, მე ძალიან მიხარია, რომ ამ ხაზს თიმისი ბანკიც გააგრძელებს და ახალი ძალით დაუდგება გვერდში ქართულ რაგბის. თიმისი 2015 წლიდან არის საქართველოს რაგბის კავშირის პარტნიორი და სასიამოვნოა, რომ დღემდე ინარჩუნებს ნდობას, – უფრო მეტიც, კიდევ უფრო ზრდის მხარდაჭერას. თიმისი ბანკი ხედავს ქართული რაგბის ბოლოდროინდელ შთამბეჭდავ შედეგებს და სრულად იზიარებს რაგბის კავშირის გრძელვადიანი განვითარების გეგმასაც. ვიმედოვნებ, რომ ქართული ბიზნესის სხვა წარმომადგენლებიც დაინახავენ თიმისისთან ჩვენი განახლებული ურთიერთობის სიკეთეს და ასევე შემოგვიერთდებიან, – გამარჯვება ხომ მხოლოდ ერთობას მოაქვს. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით მივაღწევთ ქართული რაგბის ყველა გულშემატკივრის სანუკვარ მიზანს“.

ბოლო რამდენიმე თვეში საქართველოს ეროვნულმა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმა არაერთი ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს და ახალი ფურცელი ჩაწერეს მსოფლიო რაგბის ისტორიაში, რის პასუხადაც მსოფლიო რაგბი, რაგბი ევროპა და 6 ერის ტურნირის ადმინისტრაცია არნახულ დაინტერესებას იჩენენ ქართული რაგბით და მზად არიან მის განვითარებაში აქტიურად ჩაერთონ. 6 ერის ტურნირის მესვეურებმა ინიციატივა წამოაყენეს, რომ 6 ერის 18-წლამდელთა ფესტივალი საქართველოში ჩატარდეს ქართველი ჯამუკების მონაწილეობით, ხოლო დიდი 6 ერის ტურნირის საოპერაციო ნაწილში მარკეტინგისა და სატელევიზიო ტრანსლირების ქართველი მენეჯერები ჩაერთონ სათანადო გამოცდილების მისაღებად. რაგბის სამყარო ერთსულოვნად იწონებს საქართველოს რაგბის კავშირის გრძელვადიან გეგმას, რომელიც საქართველოში რაგბის მასობრივ და სწრაფ განვითარებას ითვალისწინებს.

თავის მხრივ, ამ გეგმის განხორციელებაში აქტიურად არიან ჩართულნი საქართველოს მთავრობა, ბიძინა ივანიშვილი და ფონდი „ქართუ“. მათი დაფინანსებით საქართველოში 100 სარაგბო მოედნის მშენებლობის პროგრამა ხორციელდება, ასევე საჯარო სკოლებში უკონტაქტო რაგბის სწავლების მასობრივი პროგრამა იწყება, რომელიც 10 ათასამდე მოსწავლეს მოიცავს. საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ მიმდინარე წარმატებების შენარჩუნების კვალად აუცილებელია ახალი თაობების აღზრდასა და წარმატების უწყვეტობაზე ზრუნვა, რაშიც ბიზნესიც აუცილებლად უნდა ჩაერთოს და თიმისის მსგავსად გვერდში დაუდგეს ქართულ რაგბის.

◎ ალალ იყოს

რჩეულთა ხვედრი

ბრიტანელმა ჩოგბურთელმა, აშშ-ის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა ემმა რადუკანუმ გაერთიანებული სამეფოს მონარქ მეფე ჩარლზისგან ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიიღო.

რადუკანუმ აშშ-ის ღია პირველობა 18 წლისამ ორი წლის წინათ მოიგო. მან ზედიზედ 10 შეხვედრაში სეტის წაუგებლად გაიმარჯვა და ფინალში კანადელი თანატოლი ლეილა ფერნანდესი დაამარცხა.

„მისი უდიდებულესობა მეფისგან ასეთი აღიარება დიდი პატივია. მე მისი ძალიან მადლიერი ვარ“, – ამბობს რადუკანუ, ვისაც მეფემ ორდენი უინძორის სასახლეში გადასცა.

ფლეშინგ მედოუზე ტრიუმფის შემდეგ რადუკანუმ WTA-ს ტურზე შარშან პირველი სრული სეზონი ჩაატარა, რომელიც ტრავმების გამო წარუმატებელი გამოდგა. ამის გამო ამჟამად მას რეიტინგში მხოლოდ 75-ე ადგილი უკავია.

◎ ყატარი – 2022

დოიჩ, კაპუტ!

ვინ თქვა, რომ პენალტი ასპროცენტიანი საგოლე შანსია?

დაურტყით თერთმეტმეტრიანი საჯარიმო **ვოიცეხ შჩესნის** და მიხვდებით, რომ მიზნის მიღწევა ურთულესი საქმეა, რადგან უკანასკნელი 38 ლატარიიდან ტურინის იუვენტუსის პოლონელმა მეკარემ 13 (1!) დუელი მოიგო.

კიდევ უფრო აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წარმატება მან ყატარის მუნდიალზე მოიპოვა, მათ შორის – თვით ლეო მესისთან ფსიქოლოგიურ ჭიდილში.

მართალია, არგენტინამ ჯგუფური რაუნდის ფინიშზე მაკალისტერისა და ალვარესის ძალისხმევით მაინც გაიმარჯვა – 2:0, მაგრამ პარალელურ მატჩში მექსიკამ მხოლოდ 2:1 სძლია საუდის არაბეთს, რამაც პლეი-ოფისკენ გზა პირველი წყვილის ორივე ნაკრებს გაუხსნა. უფრო მეტიც – სამხრეთამერიკელებმა კოშმარული სტარტის მიუხედავად (1:2 საუდის არაბეთთან) საკუთარ კვარტეტში პირველი ადგილი მაინც დაიკავეს, მერვედფინალში საფრანგეთს ასცდნენ და ავსტრალიას შეხვდებიან.

რაც შეეხება მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, მან ნახევარი ძალით და დუბლებით გაიმარჯვა ტუნისთან – 0:1, დანია კი კვლავ უსუსურად გამოიყურებოდა ავსტრალიასთან – 0:1.

კი ვამბობთ, სენსაციები ტურნირებს ამშვენებსო, მაგრამ აბა გერმანელებსა და მათ მრავალრიცხოვან ქომაგებს ჰკითხეთ, ყველაზე სტაბილური ნაკრები და ყველასათვის მრისხანე მეტოქე როგორ ახერხებს ზედიზედ მეორედ ჯგუფში ჩარჩეს.

კი ბატონო, ზოგი იტყვის, ჰანსი ფლიკის გუნდი ესპანეთმა გაწირაო, სხვები მიზეზად ამ უკანასკნელისა და იაპონიის მატჩის მსაჯებს დაასახელებს, აზიელებს გადამწყვეტი ბურთი კარის ხაზის აშკარა გადაკვეთის და შემდეგ თამაშში ლამის ტოკიოდან დაბრუნების შედეგად ჩაუთვალესო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა გრანდმა საქმე აქამდე, მით უმეტეს სხვის მოიმედეობამდე არ უნდა მიიყვანოს.

რაც შეეხება ამომავალი მზის ქვეყანას, მან მეორე ტაიმბოლი გამოაცხო და, მაროკოს მსგავსად, პლეი-ოფში



პირველი ადგილით გავიდა. იაპონია – ესპანეთი 2:1, გერმანია – კოსტა-რიკა 4:2.

კიდევ ერთხელ დადასტურდა ბელგიელთა ბანაკში არსებული კონფლიქტის შესახებ გავრცელებული ხმების საფუძვლიანობა, რასაც ახალგამოჯანმრთელებული ლუკაკუს სავალალო კონდიციები დაემატა, რომელმაც რამდენიმე საგოლე ვითარება გაფლანგა და ხორვატებს მერვედფინალისკენ მწვანე შუქი აუნთო – 0:0. ბალკანელებს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კამპანიას გაუწევს მაროკო, რომელმაც მუნდიალზე მესამე მარცხი აგემა კანადას – 2:1.

მთლიანობაში, ჯგუფური ეტაპი ისევე ხმაურიანად დასრულდა, როგორც დაიწყო. მხედველობაში გვაქვს კორეელთა აღზევება, რომლებმაც უმოტივაციო პორტუგალიას ტაიმბოლით 2:1 სძლიეს და ჩამოიტოვეს როგორც გვიან გამოღვიძებული ურუგვაი, ისე კრიტიკულ ვითარებაში ფეხებდაბორკილი მანამდე სიმპათიური განა. მათი შეხვედრის დასაწყისში აფრიკელთა ლიდერმა აიუმ, ისევე როგორც 2010 წლის მუნდიალზე, პენალტი ვერ გამოიყენა, მატჩის გმირმა ალასკერტამ კი, რომელიც პირველად გამოჩნდა სამხრეთამერიკელთა ძირითად შემადგენლობაში, დუბლი შეასრულა – 2:0.

ზემოთ პორტუგალია ვახსენეთ და დავძენთ, რომ გოლებზე დაგეშილი კრიშტიანუ რონალდუ მაშინ, როცა მის პარტნიორთა უმეტესობა ისვენებდა, მაინც გამოვიდა მინდორზე, მაგრამ...

შვეიცარია – სერბეთი 3:2, ბრაზილია – კამერუნი 0:1(!).

რა პროდუქტებით ვაჭრობს საქართველო აშშ-სთან?!

აშშ საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია, რომელთანაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მუშაობა უკვე წლებია მიმდინარეობს. თუმცა ვიდრე ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება, არსებულ მაჩვენებლებში ზრდის ტენდენციაა.

მიმდინარე წელს საქართველოსა და აშშ-ის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 984 035.5 მლნ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის სავაჭრო ბრუნვასთან შედარებით 6.5%-ითაა გაზრდილი. 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში საქართველომ აშშ-ში 258,756.00 ათასი დოლარის ექსპორტი განახორციელა, ხოლო იმპორტმა 725,279.53 ათასი დოლარი შეადგინა.

სტატისტიკური მაჩვენებლების მიხედვით, 10 თვეში მთლიან ექსპორტში აშშ-ის წილი 5.7%-ია და ის საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ტოპ-10-ში (ექსპორტის კუთხით) მეშვიდე პოზიციაზეა. 2022 წლის იანვარ-ოქტომბერში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ექსპორტი 71.1%-ითაა გაზრდილი.

რაც შეეხება იმპორტს, არსებული სტატისტიკური მაჩვენებლები 37.6%-იან ზრდას აჩვენებს. აშშ იმპორტიორი ქვეყნების ტოპ-10-ში მეოთხე ადგილზეა. ქვეყნის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში 6.8%-ია.

საქართველოდან აშშ-ში ექსპორტი - ტოპ-10 საექსპორტო პროდუქციის რეიტინგი ასე გამოიყურება:

1. ფეროშენადნობები — 232,587.61 ათასი დოლარი;

2. დიოდები, ტრანზიტორები და ანალოგიური ნახევარგამტარი ხელსაწყოები — 6,807.03 ათასი დოლარი;

3. ყურძნის ნატურალური ღვინოები — 4,465.95 ათასი დოლარი;

4. ხილისა და ბოსტნეულის წვენები — 2,228.93 ათასი დოლარი;

5. საფრენი აპარატების ნაწილები — 1,471.13 ათასი დოლარი;

6. მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, უნაკერო, შავი ლითონისაგან — 1,243.71 ათასი დოლარი;

7. ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები — 1,138.74 ათასი დოლარი;

8. მინერალური და მტკნარი წყლები — 1,105.30 დოლარი;

9. ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან მის შესაფუთად პლასტმასებისაგან — 975.41 ათასი დოლარი;

10. წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით — 944.42 ათასი დოლარი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება გრძელდება

საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ყოველი წლის 4 დეკემბრიდან, 9 დეკემბრამდე დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ხსენებას...



...ჩვენი დედა ეკლესია და მისი მრევლი უკვე 28 ნოემბრიდან შობის მარხვას ვიცავთ. ეს მარხვა 7 იანვრამდე ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა ხსნილია თევზით.

ცნობილია, რომ ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის შესახებ დავით მეფსალმუნე ასე წერს: ისმინე, ასულო და მოყავ ყური შენი და დაივიწყე ერი შენი და სახლი მამისა შენისა...

...და აი, დადგა კიდეც ღვთის წინასწარმეტყველის აღსრულების დრო — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა უნდა დატოვოს მშობლების სახლი და სამუდამოდ გადავიდეს საცხოვრებლად უფლის სახლში! ეს არის ენით აღუწერელი ულამაზესი სანახაობა.

მართალ იოაკიმე და ანას ტაძარში მიყავთ ასული მარიამი. ის შედის წმინდათა წმინდაში, აი, ამ მოქმედებით იწყება ღმერთთან ადამიანის მოდგმის შერიგების საიდუმლო. ადამის მოდგმას აურაცხელ ცოდვათა გამო აეკრძალა სამოთხეში შესვლა, ღვთის წიაღში ადამიანთა დაბრუნების საწინდარი სწორედ დედა ღვთისას დაბადება არის.

3 წლის მარიამი შეიყვანეს ქალწულთა სავანეში, ის ალიონზე დგებოდა, ლოცულობდა, ანგელოზები მას ხშირად ეცხადებოდნენ, ზეციურ საკვებს უძღვნიდნენ, ესაუბრებოდნენ, მას ხელსაქმედ ჰქონდა აბრეშუმის ძაფით ქარგვა და სელისა და მატყლის დართვა. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მარიამი უფლის ნებას დაემორჩილა და ტაძარში დარჩა.

გიული ლიპარტია

უკრაინამ სასულიერო პირებს სანქციები დაუწესა

უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭომ მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებულ უკრაინელ სასულიერო პირებს სანქციები დაუწესა. შეზღუდვები 10-მდე სასულიერო პირის წინააღმდეგ დაწესდა. სანქციები დაუწესდათ უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ სასულიერო პირებსაც.

გარდა ამისა, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ქვეყანაში რუსეთთან დაკავშირებული რელიგიური ორგანიზაციები აკრძალა.

ცნობისთვის, უკრაინის უშიშროების სამსახური ბოლო რამდენიმე დღეა რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ ეპარქიებს ჩხრეკს.

ჩვილი დედის თვალწინ აწამა!

პოლიციამ ათენში 31 წლის ქართველი კაცი დააკავა

— ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს. მედიის ცნობით, ძებნილი მამაკაცი ატიკის უსაფრთხოების საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეს იტალიის ხელისუფლება ეძებდა. ის ათენში იტალიიდან გაიქცა. ბერძნული მედიის ცნობით, ახალგაზრდა კაცს იტალიაში ჩადენილ დანაშაულს ედავებიან. ერთი წლის წინ კაცმა კალაბრიას რეგიონში 3 ადამიანთან ერთად, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი დააყაჩაღა, მძევლად სახლის მეპატრონე და მისი ოჯახის წევრები აიყვანა, ჩვილი დედის თვალწინ აწამა, რათა ქალს მისთვის გაემხილა თუ სად იყო სეიფი.

ამავე ცნობით, დამნაშავე მარტო არ მოქმედებდა, ის მოქმედებდა კიდევ სამ თანამზრახველთან ერთად. დაკავებულ 31 წლის კაცს ყაჩაღობა და მკვლელობის მცდელობა ედება ბრალად.

ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე სამი პირი დააკავეს

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე სამი პირი დააკავა. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა პირადი, ასევე მათი საცხოვრებელი და ნაქირავები ბინების ჩხრეკა, რის შედეგადაც ამოღებულია სხვადასხვა ქვეყნის მაღალი ხარისხის ყალბი დოკუმენტები. მათ შორის მართვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, დიპლომი და სხვა სახის დოკუმენტური ნივთმტკიცება. პარალელურად, მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეში გამავალ სხვა პირთა მიმართ დამატებითი მტკიცებულებების მოპოვება, მათი შესაძლო სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. დანაშაული 3-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

<u>გია აბაშიძე:</u> გამორიცხული არაა, რამდენიმე თვეში ლევან ხაბეიშვილი ვანო მერაბიშვილმა ჩაანაცვლოს

(მეორე გვერდიდან)

— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა სატელიტებმა კონსტურქციულობა ბოლომდე შეინარჩუნონ, ვერ წარმომიდგენია. შეიძლება ეს არის დროებითი თვალთმაქცობა, თუმცა ხანგრძლივ პერიოდში ყოველთვის ჩანს, რომ ისინი კონსტრუქციის მხარეს არასოდეს არიან. ყოველთვის ცდილობენ, როგორმე ქვეყანაში ვითარება შეარყიონ, საბედნიეროდ, ეს არ გამოსდით.

— ასევე საინტერესო ფრაზა გააჟღერა თამარ ჩარკვიანმა, რომელიც ნიკა მელიას შემდეგ მამუკა ხაზარაძეს გადასწვდა და გაანცხადა, რომ ხაზარაძეს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში ჩაგდება უნდა. შეიძლება იყოს ამაში სიმართლის მარცვალი?

— არ ვიცი თაკო ჩარკვიანს რა ვერსიები აქვს, თუმცა მისი პოლიტიკური პროგნოზები ნამდვილად საინტერესო არაა. ისე კი „ნაციონალურ მოძრაობაში“ ყველაფერია მოსალოდნელი. ისინი, ვინც მის სატელიტებად მოიაზრებიან, შესაძლოა ჩაანაცვლონ „ნაცმოძრაობის“ არსებული ხელმძღვანელობა. მამუკა ხაზარაძე რომელი პარტიის მხარეს დადგება, ამას მნიშვნელობა არ აქვს, იქიდან გამომდინარე, რომ ის და მისი კომპანიონი, ბადრი ჯაფარიძე სასამართლოს მიერ ოფიციალურად თაღლითებად არიან შერაცხილნი. თაღლითები პოლიტიკაში არანორმალური მოვლენაა.

— საინტერესო ფაქტი მოხდა საახალწლო სლოგანთან დაკავშირებით. სლოგანი „მშვიდობის ქალაქი“ პოლიტიკური განხილვის თემა გახდა, ოპოზიცია აპელირებს, რომ უკრაინაში ომია და ეს სლოგანი მიუღებელია. რატომ იქცა ერთი უწყინარი სლოგანი პოლიტიკურ თემად?

— ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დედაქალაქში ახალი რაღაცები კეთდება, ნაცმარგინალების მხრიდან არაერთხელ გვსმენია ობსტრუქციული გამონათქვამები. ახლაც ნამდვილად არ გამკვირვებია. მათი ე.წ. აქცია მეტყველებს იმაზე, თუ რა მხარდაჭერით სარგებლობენ საზოგადოებაში — 5 ადამიანი გამოვიდა თავისუფლების მოედანზე და მეტი თანამზრახველი ვერ შეკრიბეს. ამიტომაც არიან მარგინალები, მათ ქვეყნის განვითარება არ უნდათ. ისიც კარგად გვახსოვს, რამდენიმე წლის წინ ვარდების მოედანზე ნაძვის ხე რომ დაიდგა, მაშინაც არ მოსწონდათ, წაქცევაც კი სცადეს, კახა კალაძეს დაუპირისპირდნენ — ეს მათი ჩვეული ბუნებაა.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ, Ს�პᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲗᲔᲐ ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲐᲜᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲓᲐᲔᲡᲬᲠᲝ.

კულტურის სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე წარმოადგინეს შენობის რეაბილიტაციის პროექტის საპრეზენტაციო ფორმატი და თეატრის მთავარი ფარდის ესკიზი, რომელზეც გამოჩენილი ქართველი მხატვარი თეიმურაზ (მურაზ) მურვანიძე მუშაობდა.

„პროექტის მოსამზადებლად, სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა თეატრის შენობის ძირეული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა. ამ ეტაპზე პროექტი დასრულებულია, რომელიც შედგება არქიტექტურული, კონსტრუქციული, საინჟინრო, ინტერიერის დიზაინის და სხვა ნაწილებისგან.

კულტურის სამინისტრომ 300 000 ლარი გაიღო პროექტისთვის, რომელზე მუშაობაც 2022 წლის 21 ოქტომბერს დასრულდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო ღირებულება 21 მილიონი ლარია.

2022 წლის თებერვალში სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა არქიტექტურულ-საპროექტო კომპანია „ჯორჯიან ჰაუსმა“. აკუსტიკის დიზაინისა და ტექნოლოგიური ნაწილის პროექტი, „ჯორჯიან ჰაუსის“ დაკვეთით, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ფირმა კომპანია „აკუკონმა“ შეიმუშავა.

ქუთაისის ოპერის აღორძინების საჭიროება 2021 წლის 15 აპრილს ქუთაისის ოპერის თეატრში კულტურის მინისტრის ვიზიტისას გამოიკვეთა, რის შემდეგაც დაიწყო აქტიური მუშაობა არაერთი მიმართულებით. ქუთაისის ოპერის აღორძინების პროექტი გულისხმობს თეატრის შენობის სრულ განახლებასა და თანამედროვე აპარატურით აღჭურვას, ასევე, შესაბამისი ინვესტიციის განხორციელებას თეატრის ადამიანური რესურსით გაძლიერების მიზნით, მაღალი საშემსრულებლო და შემოქმედებითი დონის შექმნასა და ქუთაისის ოპერის თეატრის მსოფლიოს წარმატებულ თეატრთა რიგში ჩაყენებას.

2022 წელს საშემსრულებლო საკადრო რესურსით გაძლიერების მიზნით, ქუთაისის ოპერის თეატრს სამინისტროს მიერ ბიუჯეტი 812 580 ლარით უკვე გაეზარდა“, — აღნიშნულია უწყების ინფორმაციაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №170
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲫᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲗᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲗᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ
uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932
ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲔᲚᲢᲝᲜ ᲯᲝᲜᲘᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲡᲔᲠ ᲔᲚᲢᲝᲜ ᲯᲝᲜᲘ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲚᲐᲡᲢᲝᲜᲑᲔᲠᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲰᲔᲓᲚᲐᲘᲜᲔᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ეს მუსიკოსის გამოსამშვიდობებელი ტურნეს ფარგლებში მისი ბოლო კონცერტი იქნება დიდ ბრიტანეთში. შოუ 25 ივნისს გაიმართება.

„ჩემს ბრიტანელ თაყვანისმცემლებთან დასამშვიდობებლად უფრო შესაფერისი გზა არ არსებობს. მოუთმენლად ველი, მსოფლიოში საუკეთესო ფესტივალის სულთან შეხებას. ეს საოცრად ემოციური იქნება“, — აღნიშნულია მუსიკოსის განცხადებაში.

ჯონმა გამოსამშვიდობებელი ტურნე ჯერ კიდევ 5 წლის წინ დააანონსა. 350 შოუსგან შემდგარი ტურნე 2021 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა კორონავირუსის პანდემიისა და ჯანმრთელობის პრობლემების გამო მუსიკოსს კონცერტების ნაწილის გადადება მოუწია.

ᲠᲝᲖᲝᲠᲘᲐ 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ

ᲤᲔᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ Pantone 2023 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ. ეს ელფერი, რომელიც წითელსა და ჟოლოსფერს შორისაა ბუნებასა და ენერგიას უკავშირდება და ყველაზე მეტად შემოქმედებასა და ხელოვნებასთან იწვევს ასოციაციას. Pantone-მა მომავალი წლის მთავარ ფერს ვებგვერდიც მიუძღვნა, სახელწოდებით Magentaverse.

„Viva Magenta აღადგენს თქვენს კავშირს თავდაპირველ მატერიასთან. ბუნების ძალების მეშვეობით ეს კაშკაშა ფერი მუხტავს ჩვენს სულს და შინაგანი ძალის გამაგრებაში გვეხმარება“ — განაცხადა ფერის ინსტიტუტის აღმასრულებელმა დირექტორმა ლეატრის ეისმანმა. Pantone წლის ფერს 2000 წლიდან ასახელებს, ეს არც თუ ისე მარტივი ამოცანაა. ინსტიტუტის სპეციალისტები ჯერ კიდევ გაზაფხულიდან ატარებენ კვლევას, რომელიც თითქმის 9 თვის განმავლობაში გრძელდება: ანალიტიკოსები აკვირდებიან მოდის ჩვენებებს, გამოფენებს ახალ ფილმებს. სწორედ ამ დაკვირვებებზე დაფუძნებით ირჩევენ მთავარ ფერს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲗᲐ „ᲬᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲛᲐ ლექსიკონმა Merriam Webster-მა 2022 წლის სიტყვად „გაზლაითინგი“ დაასახელა. როგორც გამომცემლობაში განმარტავენ, 2021 წელთან შედარებით ამ სიტყვის მნიშვნელობის მოძიებაზე მოთხოვნა 1740%-ით გაიზარდა.

„დეზინფორმაციების საუკუნეში „გაზლაითინგი“ ჩვენი დროის სიტყვად იქცა“, — აცხადებენ ლექსიკონის შემქმნელები. გაზლაითინგი არის ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმა, რომლის დროსაც მოძალადე რეალობის დამახინჯებითა და მუდმივი ტყუილებით მსხვერპლს აიძულებს, საკუთარ საღ გონებაში და რეალობის აღქმის უნარში ეჭვი შეიტანოს. 2121 წელს ამავე ლექსიკონმა წლის სიტყვად „ვაქცინა“ დაასახელა.

„ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ ᲯᲝᲜᲡᲘ“ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

„ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ ᲯᲝᲜᲡᲘᲡ“ მეხუთე ნაწილის — „ბედის ციფერბლატის“ პირველი თიზერ-თრეილერი გამოქვეყნდა. ლეგენდარული არქეოლოგის როლს კვლავ ჰარისონ ფორდი დაუბრუნდა.

მასთან ერთად ფილმში ფიბი უოლერ-ბრიჯი, ანტონიო ბანდერასი, ჯონ რის-დევისი, შონეტ რენი ვილსონი და მადს მიკელსენი ითამაშებენ. სურათის რეჟისორი ჯეიმს მენგოლდია. ფილმი ეკრანებზე 2023 წლის 30 ივნისს გამოვა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ-ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

CNN 2022 წლის ათ ყველაზე ძვირად ღირებულ ქალაქს ასახელებს. მსოფლიოს 10 ყველაზე ძვირად ღირებული ქალაქი საცხოვრებლად ასე გამოიყურება:

1. ნიუ-იორკი და სინგაპური (თანაბრად); 3. თელ-ავივი, ისრაელი; 4. ჰონკონგი და ლოს-ანჯელესი (თანაბრად); 6. ციურიხი, შვეიცარია; 7. ჟენევა, შვეიცარია; 8. სან-ფრანცისკო, კალიფორნია; 9. პარიზი, საფრანგეთი; 10. კოპენჰაგენი, დანია.

ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘᲓᲐᲜ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ ᲒᲐᲘᲥᲪᲜᲔᲑ



ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ, სიდნეიში არსებულმა ტარონგას ზოოპარკმა სათვალთვალო ვიდეოკამერის ჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც ჩანს, როგორ გარბის 5 ლომი ვოლიერიდან.

ცხოველებმა შორს წასვლა ვერ მოასწრეს და ყველა მათგანი ვოლიერში უსაფრთხოდ დააბრუნეს. გამოძიება მომხდარ ფაქტზე ამ დრომდე მიმდინარეობს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 7 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.7056; ᲔᲕᲠᲝ - 2.8466;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.3163;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.3642; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1452;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.6002;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.8453

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ -3, ᲓᲦᲔ +4
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -5, ᲓᲦᲔ +2
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +4, ᲓᲦᲔ +12
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +1, ᲓᲦᲔ +9
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +2, ᲓᲦᲔ +4

ᲓᲐᲑᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge